საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ედუარდ შევარდნაძე:

გარეშე ძალთა ინტერესები ვერაფერს დაგვაკლებდა, რომ არა შინააშლილობა და თანამოქალაქეთა ღალატი!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 213 (741) სამშაბათი, 28 სექტემბერი, 1993 წელი ფასი 50 კუპონი.

პირველი სვეტი

ქვეყნის გასაჭირით სარგებლობენ...

26 სექტემბერი, როგორც სამტრედიის შტაბში გვაცნობეს, დღეს, მიღებული ინფორმაციის თანახმად, სოფელ ჯაპანასთან 80-მდე შეიარაღებულმა კაცმა 1 ტანკით, 1 ჯავშანმანქანით დააყაჩაღეს მშვიდობიანი მოსახლეობა, წაართვეს მათ 8 ავტომანქანა. ექსპრეზიდენტის მომხრეთა ერთ-ერთი შეიარაღებული ფორმირების მეთაურმა სოსო ძულენტმა, რომელიც სენაკში იმყოფება, უარყო მისი ფორმირებების კავშირი ამ ფაქტებთან.

სხვა მონაცემებით, დასავლეთ საქართველოს რეგიონში, კერძოდ, ბახმაროს ასახვევთან, ჩოხატაურის მიდამოებში და სხვ., შეინიშნებოდა შეიარაღებული ჯგუფების გადაადგილება.

* * *

ჭიათურაში დააკავეს უმუშევრები ლ. ჯალაბაძე და ე. ზუყილაძე. მათ სოფელ გეზრულში ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გახვრიტეს ხაშურ-ბათუმის ნავთობსადენის მაგისტრალური მილი და მოიპარეს ოთხი ტონა ნავთობი.

* * *

ადამიანებს პოლიტიკურ ინტრიგებში ითრევენ

მოსკოვი, 27 სექტემბერი. (იტარ-საკდეს-საქინფორმი). ყოფილი უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობა რეგიონებს უგზავნის პროვოკაციული შინაარსის დეპეშებს, რომლებშიც მოითხოვს უკანონო ყრილობაში მონაწილეობისათვის გამოგზავნონ დამატებითი წარმომადგენლები, — ნათქვამია დღეს აქ გავრცელებულ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობაში. — ამ პროვოკაციის მიზანი ცხადია — მოახდინონ რაც შეიძლება მეტი ადამიანის დეზორიენტაცია და ჩაითრიონ ისინი პოლიტიკურ ინტრიგაში. ყოველ საათს კარგავენ რა მომხრეებს და ისტერიას ეძლევიან, ყოფილი უზენაესი საბჭოს ლიდერები აპირებენ გამოიყენონ შენობაში მისული ყოველი ახალი ადამიანი მძევლად.

იმასთან დაკავშირებით, რომ „თეთრ სახლში“ იქმნება მებრძოლი რაზმეულები სისხლის სამართლის ელემენტებისაგან და კვლავ უკონტროლოდ არიგებენ იარაღს, „თეთრ სახლში“ მოსულმა ადამიანებმა უნდა შეიგნონ, თუ რაოდენ დიდ საფრთხეს უქმნიან საკუთარ თავს, გაიცნობიერონ პირადი პასუხისმგებლობა შესაძლო პროვოკაციებისათვის, რომლებშიც შეიძლება აღმოჩნდნენ თავისდაუნებურად.

„იცის ღმერთმა, ყველაფერს ვაკეთებდი ამ საშინელი დღის თავიდან ასაცილებლად!..“

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის განცხადება

27 სექტემბერს, დღის 13 საათზე ქალაქ სოხუმს შემოესივნენ კბილებამდე შეიარაღებული რუსი, ჩეჩენი და აფხაზი ბოევიკები, რომლებმაც ტანკებით და ჯავშნიანი მანქანებით დაიკავეს დღეს სოხუმი. ამ მორიგ ბარბაროსულ აქციას ამჯერადაც წინ უძღოდა შეთანხმება ცეცხლის დროებით შეწყვეტისა და მოლაპარაკების დაწყების შესახებ. სოხუმის დამპყრობლებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ასობით ადამიანი, დაანგრიეს და დაწვეს სახლები, საცხოვრებელი უბნები, ქალაქის მოსახლეობის მთლიანი ევაკუაცია არ მოხერხდა, მათი სიცოცხლე საფრთხეშია. მრავალტანჯული საქართველო კიდევ ერთი ტრაგედიის ობიექტი გახდა. აფხაზეთში უმოწყალოდ ნადგურდება ქართველი მოსახლეობა. საქართველო დამარცხდა უთანასწორო ძალებთან ომში, რომელიც ერთი დიდი სახელმწიფოს მინისტრის ენით რომ ითქვას, გაჩაღდა ამ ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების უზრუნველსაყოფად საქართველოში. სწორედ იმპერიული ძალების მიერ არის ინსპირირებული აფხაზეთის კონფლიქტი, რის შედეგადაც აფხაზეთის ტერიტორიის ნახევარზე მეტი ოკუპირებულია. სოხუმის გადარჩენა შეიძლებოდა ჯერ კიდევ გუშინ, ეს შეეძლო მხოლოდ რუსეთს — ასეთი თხოვნით მივმართეთ მოსკოვს, გავუგზავნე თანხმობის დეპეშა რუსეთის ხელმძღვანელობას, საქართველოს „სნგ“-ში შესვლის თაობაზე, რომლის წინააღმდეგი ვიყავი ბოლო დრომდე. თანხმობა განვაცხადე რუსეთის თავდაცვის მინისტრის წინადადებაზე, შემოეყვანა საქართველოში დამატებითი შეიარაღებული ძალები აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით.

ფაქტობრივად საქართველომ დაიჩოქა. ესეც საკმარისი არ აღმოჩნდა, სამწუხაროა, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ გარეშე ძალთა ინტერესები ვერაფერს დაგვაკლებდა, რომ არა შინააშლილობა და თანამოქალაქეთა ღალატი. მოვა დრო და ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. სოხუმის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ გარეშე ძალამ კარგად გაითამაშა მოღალატის კოზირი. მე ჩემს თანამებრძოლებთან ერთად შეძრწუნებული ვარ მომხდარით. იცის ღმერთმა, ყველაფერს ვაკეთებდი ამ საშინელი დღის თავიდან ასაცილებლად. ვერ შევძელი. დაე, მაპატიონ თანამედროვეებმა და შთამომავლობამაც.

ედუარდ შევარდნაძე.

რა ხდებოდა სოხუმში

25 სექტემბერი

სოხუმი, 25 სექტემბერი. დღეს სპეციალური რადიოკავშირით მოხერხდა საუბარი სოხუმში მყოფ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან.

— ქალაქში ყველა სასიცოცხლო სტრატეგიული ცენტრი და არტერია შენარჩუნებულია, — აღნიშნა მან. — ამჟამად ბრძოლები მიმდინარეობს ფუნიკულიორის გასაწმენდად. მოწინააღმდეგე ცოცხალი ძალის დიდ ზარალს განიცდის. მან უკვე ასობით მებრძოლი დაკარგა, დაღუპულთა 80 პროცენტი რუსები, ჩეჩნები და ადიღები არიან. ქალაქის მოსახლეობა მთლიანად მობილიზებულია და ყოველი გოჯი მიწისათვის იბრძვის, გმირულად ომობს ყველა, ვინც სოხუმის დასაცავად საქართველოს ყველა კუთხიდან თუ დედაქალაქიდან ჩამოვიდა. ახლა მთავარია ჩვენი შეიარაღებული ძალები შემოვიდნენ ოჩამჩირიდან და ამისათვის ყველაფერი კეთდება. მაგრამ, როგორც ადრე აღვნიშნე, ახლა გადაუდებელი და აუცილებელია ყველამ მოაშუროს აფხაზეთს, სადაც ახლა წყდება საქართველოს ბედი.

კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რა აზრისაა ზუგდიდში ყოფილი პრეზიდენტის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მეთაურმა თქვა: ჩვენ აქ დაკავებული ვართ უფრო დიდი პრობლემებით, აფხაზეთის, საქართველოს გადარჩენის პრობლემებით და ყველას, ვინც აქ ვიმყოფებით, უპირველესად მხოლოდ ეს პრობლემა გვაწუხებს. ვიმეორებ, ახლა მთავარი აფხაზეთის, საქართველოს გადარჩენაა.

26 სექტემბერი

26 სექტემბერს, ღამის სამ საათზე სახელმწიფოს მეთაურმა ინტერვიუ მისცა საქართველოს ტელევიზიის კორესპონდენტ გურამ გორელიშვილს. გაგაცნობთ ინტერვიუს ტექსტს:

— გუშინდელი 25 სექტემბრის დღე მძიმე გამოდგა, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, — დღევანდელი კიდევ უფრო ძნელი იქნება. მტერი, პრაქტიკულად, ქალაქშია, დაკავებული აქვთ რკინიგზის სადგური და სხვა სტრატეგიული ობიექტები, ისინი რიცხობრივად მეტნი არიან. 80-90 პროცენტი შემოსულებისა რუსი ბოევიკები არიან, რომლებიც პირველად არ მონაწილეობენ ამ ბრძოლებში, ჩვენ კი სახალხო ლაშქარი გვყავს. ბიჭები ვაჟკაცურად იბრძვიან, ზოგიერთი მათგანი გმირულად დაიღუპა. ძნელია ისეთ გაწვრთნილ რაზმთან ბრძოლა, როგორიც რუსი ბოევიკები არიან, იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით მათი უპირატესობა აშკარაა. მათ ისეთი იარაღიც კი გამოიყენეს, რომელიც ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარს საერთოდ არ გააჩნია, მაგრამ სოხუმის დამცველები მაინც ღირსეულად დგანან.

მიუხედავად ასეთი დაძაბული ვითარებისა, დღეს შევხვდით ბატალიონებს, მათ მეთაურებს, რიგით მებრძოლებს, განწყობილება საბრძოლოა: სოხუმისათვის, საქართველოს გადარჩენისათვის — ასეთია მათი დევიზი. რაც შეეხება ძალებს, რომლებიც ახლა ქალაქშია, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, — ეს, ჯერჯერობით, არაა საკმარისი. მართალია, პირველი შევსება უკვე შემოვიდა და ამაში დიდი დამსახურება გია ყარყარაშვილს მიუძღვის, იგი თავად გადავიდა მდინარე კოდორის გაღმა, ჩაუდგა სათავეში მოწინავე რაზმს, ბრძოლებით გადალახა მდინარე და სოხუმში შემოვიდა, მაგრამ ეს მაინც მცირეა იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც წინ გველის. ველოდებით ახალ შევსებას. სოხუმისკენ თავისი მხედრიონელებით მოემართება გია ვაშაკიძე, სოხუმისკენ მოემართებიან ზუგდიდელები, სხვა დამატებითი რაზმები. ბევრი მათგანი მოადგა კოდორის ხიდს და გვჯერა, რომ მალე შემოვლენ და თუ გადავიტანეთ ეს დილა, და, საერთოდ, დღევანდელი დღე, — ვფიქრობთ, რომ მდგომარეობა გაწონასწორდება. ამოცანა უმძიმესი და ურთულესია. გუშინ ქალაქში მიმდინარე ბრძოლებისას თავად გახლდით სოხუმის ცენტრში. ვცდილობდით თავიდან აგვეცილებინა ზოგიერთი არასასურველი მომენტები. ვიმეორებ, უმრავლესობა ღირსეულად იბრძვის, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც თვითნებურად მიატოვეს საბრძოლო პოზიციები. სამწუხაროდ, ასეთებიც არიან, მათ წინააღმდეგ კი ბრძოლა იქნება საჭირო და ბრძოლა სასტიკი. დეზერტირი დღეს თავისი ქვეყნის მოღალატეა.

ყველამ იცის, თუ როგორ უჭირს საქართველოს. მისი ბედი დღეს სოხუმში, აფხაზეთში წყდება. წინ მძიმე ბრძოლები გველის, მაგრამ ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ, ასე ფიქრობს დღეს ყოველი ჭეშმარიტი კაცი.

ედუარდ შევარდნაძის წერილი ბუტროს გალის

დიდად პატივცემულო ბატონო გენერალურო მდივანო!

დიდხანს ფიქრის დრო არ მაძლევს განუწყვეტელი სარაკეტო-საარტილერიო დაბომბვა, რომელიც უკვე კვირაზე მეტია თავს ატყდება სოხუმს. მთელი ჩემი ფიქრები უმწეო ქალებს, მოხუცებს, ბავშვებს დასტრიალებს თავს, რომლებიც დანაშაულებრივი ნების მძევლები აღმოჩნდნენ. მთელი ჩემი საზრუნავი ის არის, თუ როგორ დავიცვა ისინი, საკადრისი პასუხი გავცე მასობრივი ხოცვისა და ნგრევის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს. მხოლოდ ოდნავი მიწყნარების წუთებში თუ ვრჩები ხოლმე მარტოდმარტო საკუთარ თავთან და მეძლევა შესაძლებლობა რაღაცაზე ვიფიქრო. ამ წუთებში გონებაში ვესაუბრები ადამიანებს, რომლებზეც, როგორც ვფიქრობდი, ბევრი რამ იყო დამოკიდებული. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ერთ-ერთი პირველი და მთავარი ჩემი თანამოსაუბრეა.

პოლიტიკოსები ბევრ რამეზე თავიანთი თვალსაწიერიდან მსჯელობენ. მაგრამ ჭეშმარიტებას ხვდები პირადი ტანჯვის, უშუალოდ განცდილი ტკივილების მეშვეობით. გარემოებათა ნებით აღმოვჩნდი რა სიკვდილის პირისპირ, ახლა ბევრ რამეს სხვაგვარად ვუყურებ, ვიდრე წინათ, ვუყურებდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან.

როცა საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების რაკეტებით მოსპეს ავიაკომპანია „კორიან ერლაინზის“ სამგზავრო თვითმფრინავი, შეძრწუნებულმა კაცობრიობამ და მსოფლიო საზოგადოებრიობამ ზარები დაარისხეს. სწორედ მაშინ გაისმა პირველად „ბოროტების იმპერია“. სოხუმში მარტო ორი დღის მანძილზე მოსპეს სამოქალაქო ავიაციის 3 თვითმფრინავი 128 მგზავრითურთ, რომელთა შორის სამი თვის ბავშვიც იყო. იმავე დღეებში ჩემს თვალწინ დაბომბეს სამშობიარო სახლი, რომლის ნანგრევებში დაიღუპნენ მშობიარენი და ახალშობილები. იგივე ბედი ხვდა წილად საავადმყოფოს — ახლა უკვე იქ მყოფ დაჭრილთა — ქალაქის მშვიდობიან მცხოვრებთა და დამცველთა საძმო საფლავს.

და მერე? ბომბებისა და ჭურვების აფეთქებების, სასიკვდილოდ განწირულთა კივილს შორის ჩვენამდე არ მოსულა არც ერთი საპროტესტო სიტყვა. აღშფოთებისა და რისხვის არც ერთი შეძახილი. და ახლა ჩემს თავს ვეკითხები, რა ხდება და რით უნდა აიხსნას ასეთი გულგრილობა. იქნებ, ჩვენ იმდენად მოგვქანცა უკანასკნელი დროის საყოველთაო კატასტროფებმა, რომ უკვე ველარ ვპოულობთ ძალებს წინააღვუდგეთ მათ? იქნებ, რაღაცამ უმტყუნა მშვიდობის მხარდამჭერისა და დაცვის იმ ინსტრუმენტებს, რომლებსაც ერთად ვქმნიდით? იქნებ, ხავსი მოგვეკიდა ბიუროკრატიულ მყუდროებასა და სტრუქტურების კეთილდღეობაში, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა ეხმაურებოდნენ ნებისმიერ მოწოდებას დახმარების შესახებ? ნუთუ ესოდენ უძლურია მსოფლიო საზოგადოებრიობა, ნუთუ მსოფლიოსათვის დარჩა ეს ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა?

მან უნდა იცოდეს, რომ ბოროტების იმპერია არსებობს და ცხოვრობს, კვლავაც დაუსჯელად თესავს სიკვდილს, აწარმოებს და გზავნის მასობრივი მოსპობის იარაღს, რომელიც აქ, და არა მარტო აქ, ხოცავს მშვიდობიან უდანაშაულო ადამიანებს.

ამას მარტო ჩემს თავს კი არ ვეკითხები, ბატონო გენერალურო მდივანო, თუ რატომ არის, რომ უშიშროების საბჭო არ სვამს კითხვას, საიდანა აქვს გუდაუთელთა ხროვის მცირერიცხოვან რაზმებს ესოდენ მძლავრი თანამედროვე იარაღი და ტყვია-წამალი, დასანგრევად მთელ კავკასიას რომ ეყოფა? ვინ უმაგრებს ზურგს ამ ხროვას, ვინ აფინანსებს, ამარაგებს და წარმართავს მას? რატომ არის, რომ არავინ, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც, არ ამხელს ამ ტრაგედიის ჭეშმარიტ მიზეზებს და მათ აშკარა ინსპირატორებს?

ვფიქრობ, რომ ეს რიტორიკული კითხვებია, რომლებიც, მგონია, რომ საჯაროდ უნდა დასმულიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში — ისევ და ისევ მშვიდობისა და კაცობრიობის დაცვის ინტერესებისათვის.

არაერთგზის გამიფრთხილებიხართ იმის თაობაზე, თუ რა უმძიმესი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ამ კონფლიქტს საყოველთაო უშიშროებისათვის და გულწრფელად მადლობელი ვიყავი ჩემი მიმართვებისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის. მაგრამ, გთხოვთ ნუ გამინაწყენდებით, თუ გეტყვით, რომ დიდად გამიტყდა გული და იმედები გამიცრუვდა.

კვლავინდებურად ვარ რა ამ პატარა, ოდესღაც უმშვენიერესი ქალაქის ნანგრევებში, მის მკვდარ მიწაზე, მოგმართავთ როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანსა და კაცს, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ და პატივს ვცემ, — თხოვნით: გამოიყენეთ მთელი თქვენი ავტორიტეტი, მთელი თქვენი შესაძლებლობანი, რათა შეაჩეროთ ეს ომი და აღადგინოთ აქ მშვიდობა.

გულწრფელად

ედუარდ შევარდნაძე.

სოხუმი, 1993 წლის 22 სექტემბერი.

კიდევ 7,5 ათასი ლტოლვილი გამოიყვანეს სოხუმიდან

მოსკოვი, 27 სექტემბერი. (იტარ-საკდეს-საქინფორმის კორ.). დღეს 7,5 ათასზე მეტი მოხუცი, ქალი და ბავშვი გამოიყვანეს სოხუმიდან შავი ზღვის ფლოტის ხომალდებმა. ლტოლვილთა სოჭსა და ფოთში ევაკუაციის მეორე ოპერაცია 16 საათზე დასრულდა, გვაცნობეს შავი ზღვის ფლოტის პრესცენტრში და ეს დაგვიდასტურეს რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის პრესსამსახურშიც. როგორც ცნობილია, პირველი ოპერაციის დროს გამოიყვანეს 3,5 ათასი კაცი. მეორე ოპერაცია განხორციელდა მას შემდეგ, რაც ქართველთა, აფხაზთა და რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა მიაღწიეს შეთანხმებას ხომალდებისა და ლტოლვილთა უშიშროების გარანტიების შესახებ. სოხუმის ნავსადგურში მიმდინარე სროლის გამო, ლტოლვილები გამოხიზნეს ნავსადგურის სამხრეთით მდებარე ნაპირიდან.

როგორც დღეს სევასტოპოლში განაცხადა შავი ზღვის ფლოტის სარდალმა ადმირალმა ედუარდ ბალტინმა, „ფლოტი მზად არის კვლავ მივიდეს ლტოლვილთა დასახმარებლად, მაგრამ ამისათვის საჭიროა დაპირისპირებულ მხარეთა კეთილი ნება“.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

მოსკოვი, 27 სექტემბერი. (იტარ-საკდეს-საქინფორმის კორ.). რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს გაავრცელა ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

„გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ქალაქი სოხუმი აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებების ხელში გადავიდა.

რუსეთის წარმომადგენელთა გულმოდგინე ძალისხმევის მიუხედავად, ვერ მოხერხდა სოხუმში საომარი მოქმედების შეჩერება და ის, რომ მხარეები ეიძულებინათ შეესრულებინათ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სოჭში მიღწეული შეთანხმება.

რუსეთის მხარე ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს ქალაქიდან ქალების, ბავშვების, ავადმყოფებისა და დაჭრილების გამოსაყვანად. ამ მიზნებისთვის ამოქმედებულია შავი ზღვის ფლოტის სადესანტო ხომალდები. მარტო 27 სექტემბერს გამოხიზნეს დაახლოებით 10 ათასი კაცი.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბ. ნ. ელცინმა მითითება მისცა თავდაცვის სამინისტროს საჭირო დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ე. ა. შევარდნაძეს კონფლიქტის ზონის დატოვების საქმეში. მისი თანხმობა აქამდე არ მიუღიათ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კატეგორიული მოთხოვნით მიმართა აფხაზთა ხელმძღვანელობას შეაჩეროს ჯარების შემდგომი წინსვლა, შეწყვიტოს ცეცხლი, არ დაუშვას ძალადობა მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად გამოიჩინოს ჰუმანურობა დაჭრილებისა და ტყვედ ჩავარდნილებისადმი. კონფლიქტში ჩაბმულმა მხარეებმა უნდა დაიწყონ მოლაპარაკება, მოუღონ ბოლო ძმათამკვლელ ომს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ ბრალდებას აფხაზეთში სისხლისღვრის უკანასკნელი გამძაფრების საქმეში რუსეთის ფედერაციისა და მისი შეიარაღებული ძალების რაიმე მონაწილეობის შესახებ“, — აღნიშნულია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობაში.

ნომერში

⊙ რუსეთი ფარისევლურად მოთქვამს აფხაზეთის ტრაგედიის გამო. 2

⊙ რეპორტაჟი მოსკოვის შეხვედრის კულუარებიდან. 3

საქართველოს პარლამენტის განცხადება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე იმყოფება ფრონტის ხაზზე აფხაზი სეპარატისტებისა და დაქირავებული მკვლელების მიერ მიწასთან გასწორებულ სოხუმში. სახელმწიფოს მეთაურის ვაჟკაცობის და თავდადების პირადი მაგალითი მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი, მაგრამ ვითვალისწინებთ რა მთლიანად სახელმწიფოში შექმნილ ურთულეს ვითარებას, მიგვაჩნია, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძის ქალაქ სოხუმში შემდგომი ყოფნა საფრთხეში აგდებს არა მარტო მის სიცოცხლეს და პირად უსაფრთხოებას, არამედ ქართულ სახელმწიფოებრიობას და მოვლენების საბედისწერო განვითარების შემთხვევაში შეიძლება გახდეს უფრო დიდი სისხლისღვრისა და სამოქალაქო ომის დაწყების მიზეზი.

საქართველოს პარლამენტი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე დაუყოვნებლივ დაბრუნდეს დედაქალაქში და შეუდგეს თავისი მოვალეობის შესრულებას. დღეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება.

საქართველოს პარლამენტი.

1993 წლის 27 სექტემბერი.

გაეროს გენერალური მდივნის წერილი ედუარდ შევარდნაძისადმი

პატივცემულო თავმჯდომარევ,

თქვენი 22 სექტემბრით დათარიღებული ამაღელვებელი წერილი გუშინ მივიღე. უკვე არაერთი კვირის მანძილზე დიდად განვიცდი იმ საშიშროებას, რომლის წინაშეც დგახართ თქვენ და თქვენი ქვეყანა, ყველაფერი გავაკეთე რაც შემეძლო, როგორც პირადად, ისე ჩემი საგანგებო წარმომადგენლის, ელჩ ბრუნნერის საშუალებით, რათა მობილიზებული ყოფილიყო საერთაშორისო ძალისხმევა ცეცხლის შეწყვეტისა და პოლიტიკური დიალოგის დაწყების მიზნით.

ელჩმა ბრუნერმა შესძლო დაერწმუნებინა აფხაზური მხარე და რუსეთის ფედერაცია, რომ მათ მონაწილეობა მიეღოთ მოლაპარაკებაში ჟენევაში, რომელიც უნდა ჩატარდეს გაეროს ეგიდით ამ კვირის ბოლოს. უშიშროების საბჭოს წევრები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ამ მოლაპარაკებას და, როგორც იცით, უკავშირებენ გაეროს დამკვირვებელთა გაგზავნას, აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტასა და პოლიტიკური პროცესის მიმდინარეობას.

მე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ საქართველომ ამ მოლაპარაკებაზე გააგზავნოს დელეგაცია და დაბეჯითებით გთხოვთ ამას. ეს მოლაპარაკება იძლევა შესაძლებლობას, რათა საერთაშორისო საზოგადოება უფრო უშუალოდ ჩაებას თქვენს ქვეყანაში მშვიდობის აღდგენის საქმეში. ამ მოლაპარაკების დღის წესრიგი და ფორმატი ჯერ დადგენილი არ არის და მე ვთხოვე ბატონ ბრუნერს ელასტიურობა გამოიჩინოს თქვენ საჭიროებათა გათვალისწინების თვალსაზრისით.

გულწრფელად თქვენი

ბუტროს გალი.

ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს

გაგაცნობთ ტექსტს, რომელიც 24 სექტემბერს პრესის ბრიფინგზე წაიკითხა ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტის სპიკერმა მაიკლ მაკერმა:

„**16 სექტემბერს** აფხაზთა ძალებმა დაარღვიეს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომელსაც 27 ივლისს სოჭში ხელი მოაწერეს საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა და აფხაზმა სეპარატისტებმა.

სოხუმსა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა ქალაქებზე აფხაზთა გაუმართლებელი შეტევებით გამოწვეულ ძალადობის ესკალაციის ციკლს შედეგად მოჰყვა:

განურჩევლად იბომბება მშვიდობიანი მოსახლეობა აფხაზთა პოზიციებიდან, როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან. აფხაზთა ძალებმა მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ჩამოაგდეს სამოქალაქო თვითმფრინავები. ტრაგიკულად ჩაიშალა აფხაზეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ძალისხმევა მშვიდობიანად აღედგინათ ომის შედეგად შერყეული ეკონომიკა. სერიოზული საფრთხე შეექმნა მშვიდობის პროცესს, რომელიც დაიწყო სოჭში და შემდგომი განვითარება ჰპოვა გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს 854 და 858 რეზოლუციებში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მკაცრად გმობს აფხაზთა ძალების მოქმედებას და მოუწოდებს მათ შეწყვიტონ შეტევა და დაუბრუნდნენ პოზიციებს, რომელიც დადგინდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 27 ივლისის სოჭის შეთანხმებით. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ აფხაზ ლიდერებს სრულად დაიცვან გაეროს უშიშროების საბჭოს 854-ე და 858-ე რეზოლუციების პირობები და საქართველოს მთავრობის და გაერთიანებული ერების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ მოლაპარაკებაში, რომელიც მშვიდობიანად გადაჭრის აფხაზეთის კონფლიქტს. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კვლავაც გამოხატავს სახელმწიფოს მეთაურის შევარდნაძის სრულ მხარდაჭერას და, ასევე მხარს უჭერს მის ძალისხმევას თავი დააღწიოს კრიზისს და შეინარჩუნოს საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა“.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, რომ სამხედრო დავალების შესრულების დროს აფხაზეთში გმირულად დაიღუპა სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საჰაერო თავდაცვის სარდლის პირველი მოადგილე, პირველი კლასის მფრინავი, პოლკოვნიკი

ივან მიხეილის ძე ცერცვაძე

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

პოლკოვნიკ ი. მ. ცერცვაძის დამკრძალავი კომისიისაგან:

პოლკოვნიკ ივან მიხეილის ძე ცერცვაძის სამოქალაქო პანაშვიდი შედგება 28, 29 სექტემბერს 16 საათზე. ვარკეთილი-3, I მ-რ, მე-3 კორპუსი, მე-4 სადარბაზო, მე-6 სართული, ბინა 65. დაკრძალვა 30 სექტემბერს, ხუთშაბათს 14 საათზე. გამოსვენება ოფიცერთა სახლიდან, მეტრო „დელისთან“.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ფიცი გვწამს, ბოლო?!.

როცა ფარისევლობას საზღვარი არა აქვს

24 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა საქართველოში კონფლიქტების მოსაწესრიგებელი მოქმედების კოორდინაციისათვის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ბ. ნ. პასტუხოვის ბრიფინგი რუსი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

საქინფორმი მკითხველებს სთავაზობს მის ჩანაწერს:

ბ. ნ. პასტუხოვი: თავს ნებას მივცემ ბრიფინგი დავიწყო იმით, რომ მოკლედ გადმოგცეთ აფხაზეთის ბოლოდროინდელი მოვლენები. როგორც ცნობილია, 16 სექტემბერს იქ კვლავ იფეთქა შეიარაღებულმა კონფლიქტმა. ამ დღეს გამთენიისას აფხაზთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ჯავშანტექნიკისა და არტილერიის გამოყენებით დაიწყეს აქტიური შეტევითი მოქმედება ოჩამჩირის რაიონში, რომელმაც მალე სოხუმის რაიონშიც გადაინაცვლა. აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებები ქალაქის ფარგლებში შევიდნენ.

რუსეთის მთავრობამ თავის 16 სექტემბრის განცხადებაში ამ მოქმედებას უწოდა აფხაზთა მხარის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 27 ივლისის სოჭის შეთანხმების უხეში დარღვევა. შეწყდა დიდი გაჭირვებით მიღწეული დაზავება, რომელმაც 50 დღის გასტანა. თავის განცხადებაში რუსეთის მთავრობამ მოსთხოვა აფხაზთა ხელმძღვანელობას, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა საბრძოლო მოქმედება, გაეყვანა თავისი ფორმირებანი საწყის მიჯნებზე. განცხადებული იყო, რომ ამაზე უარის თქმა მიჩნეული იქნებოდა გამოწვევად აქედან გამომდინარე ყველა პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგებით. მაგრამ მძიმე ბრძოლები სოხუმსა და აფხაზეთის სხვა რეგიონებში გრძელდება. იზრდება მსხვერპლთა რიცხვი.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საბრძოლო მოქმედების განახლებასთან დაკავშირებით რუსეთის მხარემ მთელი რიგი გადაუდებელი ღონისძიებანი განახორციელა.

18 სექტემბერს, ჩვენი ინიციატივით, სასწრაფოდ იქნა მოწვეული აფხაზეთში მოწესრიგების გაერთიანებული კომისიის სხდომა. რუსეთის მთავრობის გამოქვეყნებული განკარგულების შესაბამისად რუსეთის მხარემ განახორციელა მთელი რიგი ეკონომიკური ღონისძიებანი. 22 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის განცხადებაში მოუწოდა აფხაზურ და ქართულ მხარეებს დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ საბრძოლო მოქმედება და სასწრაფოდ დაბრუნებოდნენ 27 ივლისს სოჭში ხელმოწერილი მშვიდობიანი გეგმის რეალიზაციას. ჩვენ ვადასტურებთ, რომ რუსეთი მზად არის განაგრძოს თავისი საშუამავლო მისია სისხლისღვრის შეწყვეტის მიზნით და უზრუნველყოს ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგება.

ჩვენ გვსურს შევუმსუბუქოთ ტანჯვა სოხუმის მშვიდობიან მოსახლეობას და მთელ რიგ ღონისძიებებს ვახორციელებთ იმისათვის, რომ გავიყვანოთ ლტოლვილები, რომლებსაც სურთ ამ ალყაშემორტყმული ქალაქის დატოვება. რადგან აეროპორტი ბლოკირებულია, მივიღეთ გადაწყვეტილება სოხუმში გაიგზავნოს შავი ზღვის ფლოტის ორი სადესანტო გემი, რომლებიც სოხუმის რეიდზე დადგებიან 25 სექტემბერს ღამის 2 საათზე. ამ ოპერაციაში მათ დაეხმარება შავი ზღვის ფლოტის რამდენიმე გემი, რომლებიც უახლოვდებიან სოხუმს.

დღეს სოხუმში ვითარება დაიძაბა და მან კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. აფხაზთა ჯარებმა ფაქტობრივად ალყაში მოაქციეს ქალაქი. სპეციალისტთა შეფასებებით ვითარება მეტად პესიმისტურია. სოხუმი თუ დაეცემა, კიდევ უფრო დიდი გასაჭირია მოსალოდნელი მშვიდობიანი მოსახლეობისათვის, ასე ყოფილა ყოველთვის ომის დროს.

გუშინ საღამოს ვესაუბრე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ვ. გ. არძინბას, რომელიც მოითხოვდა მთელი რიგი ეკონომიკური ღონისძიებების გაუქმებას (რუსეთის მიერ აფხაზეთისათვის ენერგომომარაგების გამორთვა, ზოგიერთი სხვა ღონისძიებანი, რომლებიც განხორციელდა სოჭის შეთანხმებათა უხეშ დარღვევასთან დაკავშირებით). მე ვუპასუხე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბოლო განცხადების სულისკვეთებით, რომ ჩვენი ნებისმიერი ნაბიჯი ამ მიმართულებით დაკავშირებული იქნება ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტასთან. ვ. გ. არძინბა შემპირდა, რომ განიხილავენ ჩვენს წინადადებას, შესთავაზონ ქართველთა მხარეს გარკვეული საათიდან — დილიდან ან ხვალიდან — ცეცხლის შეწყვეტა. ჩვენს ინიციატივას უპასუხონ, თუ ასე შეიძლება ითქვას, შემხვედრი მოქმედებით. მაგრამ დღეს დილით ბრძოლები სოხუმში ახალი ძალით განახლდა.

არ ვიცი, კიდევ რისი დანგრევა შეიძლება ამ გაპარტახებულ ქალაქში. ბოლო დროს ათჯერ მაინც ვიყავი იქ, და შემიძლია დავადასტურო, რომ ქალაქის ცენტრი პრაქტიკულად მიწასთან არის გასწორებული. არტილერიის ბარბაროსულმა ცეცხლმა ნანგრევებად აქცია რესპუბლიკური საავადმყოფო, სკოლები, საბავშვო დაწესებულებების უმრავლესობა. რომ აღარაფერი ვთქვათ საცხოვრებელ უბნებზე.

როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, რუსეთს ყოველი მხრიდან ადანაშაულებენ. თბილისი ბრალად გვდებს, რომ ხელს ვუწყობთ აფხაზთა მხარეს. ისიც კი თქვეს, თითქოს ტუ-154 თვითმფრინავი რუს სამხედრო სპეციალისტებს ჩამოეგდოთ. აფხაზები ბრალად გვდებენ, თითქოს „შიმშილით ვკლავთ ქალებსა და ბავშვებს, არაადამიანობას ვიჩენთ“, თითქოს თვითონ არაადამიანობას არ იჩენდნენ სოხუმის ათასობით უსახლკაროდ დარჩენილი მცხოვრებლების მიმართ.

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ კორესპონდენტი: იქნებ რაიმემ გამოიწვია პროვოკაციულად საომარი მოქმედების განახლება? მაინც რატომ დაიწყეს აფხაზებმა სროლა, რით ხსნიან, ისინი თავიანთ მოქმედებას?

ბ. ნ. პასტუხოვი: მოვლენები ასე განვითარდა. 16 სექტემბერს თბილისში ვიყავით. ჩვენი ამოცანა იყო დაგვეძლია შეთანხმებათა ერთ-ერთი პუნქტი, რათა წინ წაგვწეულიყავით. დილით ადრე, შევიტყვეთ, რომ დაიწყო შეტევა. მაშინვე დავიწყეთ რეკვა გუდაუთაში, დავუკავშირდით აფხაზ ხელმძღვანელებს. და ჩვენ გვითხრეს, ამას სერიოზულად ნუ მოეკიდებითო, თითქოსდა ვიღაც საველე მეთაურს უსანქციოდ დაეწყოს სროლა, მაგრამ ახლა იქ აფხაზური სარდლობის წარმომადგენელი გაგზავნეს. აღმოსავლეთ ფრონტზე ხომ უკვე მოხდა ასეთი რამ. დაგვპირდნენ, რომ ყველაფერს შეაჩერებდნენ. იმავე დღის დაახლოებით 14 საათზე მე უკვე ვ. გ. არძინბას კაბინეტში ვიყავი გუდაუთაში, სადაც მოვისმინე ახსნა-განმარტება და მიჩვენეს ორი დოკუმენტი — არ ვიცი თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის, თუ აფხაზური მთავრობის ცნობები, რომლებშიც ეწერა, რომ ტყვარჩელის მშვიდობიანმა მოსახლეობამ (სახელდობრ, რატომ არის ნახსენები ეს ქალაქი გაუგებარია), რომელიც სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა 400-დღიანმა ალყამ, გადაწყვიტა გაერღვია ბლოკადა და დაიძრა წინ. ჩემს კითხვას, იყო თუ არა მოსახლეობაში იარაღიანი ხალხი, იყვნენ თუ არა აფხაზი სამხედროები, მე დამაჯერებლად მიპასუხეს. ვკითხე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, გაიცა თუ არა ბრძანება შეეჩერებინათ იერიში და შეეწყვიტათ ცეცხლი (ამ მომენტისათვის უკვე ვიცოდით, რომ აფხაზთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაიკავეს მდინარე გუმისთის ზემო და ქვემო ხიდები, რომელთა გადაღმაც იწყება სოხუმის საცხოვრებელი უბნები). მე მითხრეს, რომ ასეთი ბრძანება არ გაუციათ და რომც გასცენ, მას მაინც არ შეასრულებენო. მე ვთხოვე, გაეცათ ასეთი ბრძანება, იმიტომ, რომ ამ მომენტამდე ვ. გ. არძინბას ყველა ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებდნენ.

მე კიდევ ერთი კითხვა დავუსვი: თუ მართლაც რაიმე შემთხვევითი ფაქტორებით არის გამოწვეული სოჭის შეთანხმების დარღვევა, მზად არიან ისინი თუ არა დააბრუნონ ჯარები? მიპასუხეს, რომ აფხაზთა ჯარები ძველ პოზიციებზე არ დაბრუნდებიან.

სააგენტო „ინტერფაქსის“ კორესპონდენტი: რამდენად მოსალოდნელია კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის შეყვანა და მის მოწესრიგებაში საერთაშორისო გაერთიანების უფრო აქტიური ჩაბმა?

ბ. ნ. პასტუხოვი: ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სოჭის შეთანხმება ითვალისწინებდა, თავად საკითხის გადაწყვეტას, მათ შორის ამ კონფლიქტის გადაჭრის ლოგიკა კი გვკარნახებდა, რომ სამშვიდობო ძალების გამოყენება იქ აუცილებელი იყო. დოკუმენტში გათვალისწინებული იყო გაეროს უშიშროების საბჭოში მიმართვა ასეთი შემთხვევებისათვის გათვალისწინებულ პროცედურებთან დაკავშირებით, როცა საქმე ეხება სამშვიდობო ძალების შეყვანას. უკვე მაშინ მხარეებმა თქვეს, რომ მათ შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ რუსი მშვიდობისმყოფელნიც. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთ წოდებული „კლასიკური სქემა“ არ ითვალისწინებს სამშვიდობო ძალებში იმ ქვეყნის კონტინგენტის მონაწილეობას, რომელიც ემეზობლება იმ სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს, სადაც ხდება კონფლიქტი. ჩვენს კითხვაზე, როგორღა უნდა მოიქცეს რუსეთი იმ კონფლიქტების შედეგების ლიკვიდაციის ან ლიკვიდაციაში მონაწილეობის თვალსაზრისით, რომლებიც იფეთქებს ხოლმე ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში, დღემდე არც უშიშროების საბჭოს ექსპერტებისაგან, არც გაეროს ხელმძღვანელებისაგან დამაჯერებელი პასუხი არ მიგვიღია.

იმის გამო, რომ საჭირო იყო სოჭის შეთანხმების განმტკიცება, რუსეთის პრეზიდენტთან ე. ა. შევარდნაძისა და ვ. გ. არძინბას შეხვედრების დროს 23 და 24 აგვისტოს დათქვეს რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს არაფერი აქვთ ამის საწინააღმდეგო. და საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ბუტროს გალისადმი მიმართვა-წერილს, რომელშიც დასმული იყო საკითხი იმის შესახებ, რომ განხილულიყო ეს პრობლემა და გამონაკლისის წესით, მიღებულიყო იმაზე, რომ რაოდენობით მცირე კონტინგენტი სოხუმში დისლოცირებული — 901-ე საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონი, და გუდაუთაში მყოფი 345-ე პოლკი გამოეყენებინათ ამ მიზნებით. ბუტროს გალის პასუხი მოვიდა 14 სექტემბერს. 16 სექტემბერს კი სოჭის შეთანხმება დაირღვა.

აქაც შეინიშნება რაღაც შინაგანი კავშირი. ამ გადაწყვეტილებებს იცნობდა საქართველოს მთავრობა, იცნობდა აფხაზეთის რესპუბლიკაც. ჩვენ გვითხრეს, რომ მხარეთა თანხმობით, როგორც ის ზოგჯერ ხდებოდა, რუსეთის ჯარებს შეუძლიათ, იქ შეასრულონ სამშვიდობო ფუნქციები, მაგრამ მათ არ დააფინანსებს გაერო და ისინი არ მიიღებენ „ცისფერი ჩაჩქანების“ სტატუსს. პრინციპში უშიშროების საბჭო ამას დათანხმდება, მაგრამ აღნიშნული პირობებით. კომენტარს აღარ გავაკეთებ გაეროს ამ გადაწყვეტილებას.

მაგრამ შემდეგ ასე მოხდა, როცა კვლავ აგიზგიზდა ომის ალი, 17 სექტემბერს, დილით (პ. ს. გრაჩოვი გუდაუთაში ჩამოფრინდა ღამით, როცა თენდებოდა 16 სექტემბერი, მთელი ღამე ამუშავებდნენ ვარიანტებს, თუ როგორ მოეხდინათ კონფლიქტის ლოკალიზება და როგორ ჩაეხშოთ იგი) უნდა ყოფილიყო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა, რომ, თუ იქნებოდა მხარეთა თანხმობა, რუსეთს შეეძლო კონფლიქტის ზონაში გაეგზავნა გარკვეული რაოდენობის საჰაერო-სადესანტო ჯარები, რათა შეეწყვიტა საბრძოლო მოქმედება და სასწრაფოდ განეიარაღებინა ყველა, ვისაც ჰქონდა იარაღი და საბრძოლო ტექნიკა. გეგმა შეთანხმებული იყო, მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობამ იგი მიიჩნია იმ აქტად, რომელსაც საქართველოში აღიქვამენ მისი ოკუპირების ცდად. და აღარ დათანხმდა ამას. ორი დღის შემდეგ ჩვენ მივიღეთ სიგნალი, რომ შეიძლებოდა დავბრუნებოდით ამ გეგმის განხილვას, მაგრამ როგორც პ. ს. გრაჩოვმა და სხვა რუსმა სამხედრო სპეციალისტებმა განაცხადეს, ამ გეგმის გამოყენება ახალ პირობებში, როცა სოხუმში ქუჩის ბრძოლებმა იმ სტადიას მიაღწიეს, როცა სრულიად შეუძლებელია გაიგო, საიდან ისვრიან და ვინ ვის წინააღმდეგ იბრძვის, ამ გეგმის გამოყენება უკვე შეუძლებელი იყო.

განიხილავდნენ სხვა ვარიანტსაც, რომელიც ითვალისწინებდა იქ მყოფი რუსეთის კონტინგენტის გაძლიერებას, ეს, თითქოსდა, ყველას ხელს აძლევდა. ჩვენ მზად ვიყავით, ეს ნაბიჯიც გადაგვედგა, მაგრამ, ამჯერად, დრო ხელიდან გაგვეშვა. აფხაზეთის მხარე, როგორც [illegible], აშკარად აჩქარებდა მოვლენების განვითარებას.

რისი გაკეთება შეიძლება ახლა, ძნელი სათქმელია. რა თქმა უნდა, ჩვენი სამხედროებისა და მესაზღვრეების სიცოცხლის რისკის ფასად ჩვენ უკვე განვახორციელეთ რამდენიმე ღონისძიება, როცა სოხუმიდან გამოვიყვანეთ ბავშვები, მოხუცები, ლტოლვილები, დაჭრილები, ვიმეორებ, — ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების სიცოცხლის რისკის ფასად, რის დასტურადაც დღეს მივიღეთ ცნობა, რომ სოხუმის ბატალიონში მძიმედ დაიჭრა რუსეთის არმიის კაპიტანი, ერთ-ერთი ასეულის მეთაური. ამ ბატალიონს ცეცხლს უშენდნენ და კვლავაც უშენენ მეტად ინტენსიურად. თუმცა, ფრონტის ხაზმა უკვე გაიარა ეს ზონა.

გაზეთ „აბხაზსკი ვესტნიკ-ის“ კორესპონდენტი: როცა სოჭის შეთანხმებას განიხილავდნენ აფხაზეთის პარლამენტის სხდომაზე, მეტად სერიოზული კამათი გაიმართა და ძლივს დაარწმუნეს დეპუტატები, რომ, თუ ჩვენ გვაქვს თუნდაც ერთი ადამიანის გადარჩენის ერთი შანსი, ამ ომის პოლიტიკურ დონეზე აყვანის თუნდაც ერთი შანსი, ჩვენ უნდა მხარი დავუჭიროთ ამ დოკუმენტს. ეს მაშინ, როცა ბევრი ექსპერტი ამბობდა, რომ ეს დოკუმენტი 99 პროცენტით არ წყვეტს მთავარ პრობლემებს. ჩვენ მას მხარი დავუჭირეთ.

შეთანხმებაში გათვალისწინებულია 10-15 დღეში გარკვეული ღონისძიებების განხორციელება. იმის გარანტი, რომ ყველაფერი ეს შესრულდებოდა, გახდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმოწერა. გუშინწინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა „ნეზავისიმაია გაზეტაში“ არაორაზროვნად აღნიშნა, რომ კონფლიქტის განახლებაში ბრალი ძირითადად არ მიუძღვის აფხაზთა მხარეს. როგორ გავიგოთ ის, რაც თქვენ აქ ბრძანეთ. უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება გაეროს აუჩქარებლობას და ზოგიერთ სხვა გარემოებას. მაგრამ იქ ხომ პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ გაეროს გარდა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროც ამ სიტუაციაში არ მოქმედებდა მაინც და მაინც ოპერატიულად და ესეც იმის ერთ-ერთი მიზეზია, რაც მოხდა.

ახლა ყველაზე მთავარი — ქართველთა მხარის მოქმედება. დათქმული იყო, რომ 10-15 დღის ვადაში განხორციელდებოდა განსაზღვრული ღონისძიებანი. მიუხედავად ამისა, ოცი დღის შემდეგ 1200 ბერძენი გაიცვალა პროდუქტებზე და ძალით განდევნეს სოხუმიდან. განაცხადეს, რომ იქიდან განდევნიან სხვებსაც. იმავდროულად, ხდებოდა მკვლელობები, ბარბაროსულად ხოცავდნენ მოხუცებს და ა. შ. არის მრავალი დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ ქართველთა მხარემ არ შეასრულა შეთანხმების ძირითადი დებულებები. შეიძლება ასეთ შემთხვევაში, დუმილით აუაროთ გვერდი იმ ფაქტს, რომ აქ, აფხაზთა მხარის გარდა, ბრალი მიუძღვის სხვა მხარეებსაც?

ბ. ნ. პასტუხოვი: პირველი. 16 სექტემბერს დაწყებული მოვლენების მთავარი მიზეზი ის არის, რომ აფხაზთა მხარემ უხეშად დაარღვია სოჭის მორიგებანი, იერიშზე გადავიდა ფრონტის რამდენიმე უბანზე, იყენებს ტანკებს, არტილერიას.

მეორე. მიუძღვის თუ არა ამ საქმეში ბრალი გაეროს და რუსეთის მხარეს? რა თქმა უნდა, მიუძღვით. ამ ორმოცდაათი დღის განმავლობაში რომ გადაჭრილიყო სამშვიდობო ძალების პრობლემა, შეიძლებოდა ალბათ, კონფლიქტის თავიდან აცილება. მაგრამ, ვინც იქ იყო, იცის, რომ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები თავს არ ზოგავდნენ, მუშაობდნენ 25 საკონტროლო ჯგუფში, წყვეტდნენ პრობლემებს, მათ შორის ჰუმანური ხასიათის, ტყვარჩელიდან ლტოლვილების პრობლემებს და სხვა.

ჯორჯ შულცის წერილი ედუარდ შევარდნაძეს

ძვირფასო ედუარდ,

თქვენ მარტო არა ხართ. თქვენი მიმართვები, ბოლო მიმართვის ჩათვლით, მივიღეთ და ყურადღებით გავეცანით. გამოვხატავთ ჩვენს ღრმა შეშფოთებას თქვენი და საქართველოს გამო.

მე ვუერთდები თქვენს მრავალ მეგობარს, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე მთელ მსოფლიოში, რომლებიც ღმერთს ევედრებიან, რომ დღევანდელი კრიზისი კარგი შედეგებით დამთავრდეს, საქართველოში აღდგეს სტაბილური მდგომარეობა და ქართველ ხალხს დაუბრუნდეს ის შემწყნარებლობა, რომლითაც ქართველები საყოველთაოდ არიან ცნობილი.

და, როცა ასე მოხდება, თქვენ შეგიძლიათ ღრმად იყოთ დარწმუნებული, რომ ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები და კეთილდღეობის დონე მკვეთრად გამოსწორდება.

ღრმა პატივისცემით და თაყვანისცემით, მარად თქვენი მეგობარი

ჯორჯი.

1993 წლის 23 სექტემბერი.

სამშობლოს ბედისთვის უდიდესი პასუხისმგებლობით

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლას დღეს ალტერნატივა არა აქვს. ამ აზრისანი იყვნენ კვირას, 26 სექტემბერს გამართული საქართველოს მინისტრთა კაბინეტის რიგგარეშე გაფართოებული სხდომის მონაწილენი, რომელშიც მონაწილეობდნენ აგრეთვე პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, მისი მოადგილე ვახტანგ რჩეულიშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მთელი რიგი მუდმივი კომისიებისა და ფრაქციების წარმომადგენლები. სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, რომელიც წინადღით დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც მეთაურობდა რესპუბლიკის დელეგაციას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრაში მეთვალყურის სახით რომ მონაწილეობდა.

სხდომის დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი: ამ შეხვედრაში საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობის შედეგების შესახებ, და, რაც მთავარია, იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი რესპუბლიკის პოზიცია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან და, კერძოდ, ამ ორგანიზაციის ეკონომიკურ კავშირთან ურთიერთობაში.

პრემიერ-მინისტრის ინფორმაციამ რუსეთის დედაქალაქში გამართული შეხვედრის შედეგების შესახებ, საქართველოს დელეგაციის მიერ გაკეთებულმა დასკვნებმა, აზრთა ცხოველი გაზიარება გამოიწვია. თავდაპირველად გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი, რომელთა არსი იყო ის, რომ საჭიროა თუ არა საქართველოს გაწევრიანება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

ამავე დროს, ორატორთა უმრავლესობამ — როგორც მთავრობის წევრებმა, ისე პარლამენტარებმა, სალად შეაფასეს რა აფხაზეთში და მთლიანად რესპუბლიკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში შექმნილი ვითარება, მხარი დაუჭირეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლის შესახებ საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას. მაგრამ, აღინიშნა, სხდომაზე, უნდა შევიტყოთ ხალხის, სახელმწიფოს მეთაურის აზრი, იქნებ, სასწრაფოდაც მოგვიწიოს რეფერენდუმის გამართვა, რათა საბოლოოდ გავარკვიოთ ჩვენი პოზიცია რესპუბლიკისათვის ამჟამად ამ საარსებო მნიშვნელობის საკითხის თაობაზე. როგორც ოთარ ფაცაციამ განაცხადა, საქართველოს ბედისათვის ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ამჟამად ეკისრება როგორც მინისტრთა კაბინეტს, ისე პარლამენტს, დაჟინებით მოითხოვს უკვე ხვალიდანვე გაჩაღდეს აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით.

საქართველოს მოქალაქეებს!

„**მოქალაქეობის** შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის კანონის თანახმად, 25 სექტემბრიდან საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება ყველა პირი, ვისაც მუდმივად უცხოვრია საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა, ცხოვრობდა აღნიშნული კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის და 6 თვის ვადაში წერილობით არ განაცხადა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე.

ოფიციალური მონაცემებით, ამ პერიოდში საქართველოს მოქალაქეობაზე უარი განაცხადა მხოლოდ რამდენიმე ათეულმა პირმა.

ამრიგად, ქვეყნისათვის მძიმე დღეებში საქართველომ დიდი ნაბიჯი გადადგა ცივილიზებულ, სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის გზაზე. ერთიანი საქართველოს მოქალაქეც გახდა ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ადამიანი განურჩევლად რასის, ეროვნების, სოციალური მდგომარეობის, პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა. ისინი ისარგებლებენ ყველა სამოქალაქო უფლებებით და დაეკისრებათ თანაბარი მოვალეობები ქართული სახელმწიფოს წინაშე.

ეს დღე განსაკუთრებით გვინდა მივულოცოთ იმ თავდადებულ ვაჟკაცებს, ვინც გმირულად იბრძვის მომხდურ მტრებს ფრონტის ხაზზე.

კიდევ ერთხელ ვხრით თავს მამულისათვის შეწირული შვილების ნათელი ხსოვნის წინაშე, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად მოგვიახლოვეს ეს ისტორიული დღე.

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისია.

ყურად იღეთ საქართველოს სომეხთა ხმა, ბორის ნიკოლოზის ძევ!

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ბორის ნიკოლოზის ძე ელცინს

პატივცემულო ბორის ნიკოლოზის ძევ!

საქართველოს ნახევარმილიონიანი სომეხი მოსახლეობის სახელით იმედით მოგმართავთ თქვენ, დიდი და მძლავრი სახელმწიფოს პრეზიდენტს, პიროვნებას, რომლის სახელსაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხალხები უკავშირებენ არა მარტო თავიანთ ქვეყნებში დემოკრატიულ გარდაქმნათა ბედს, არამედ პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის იმედსაც.

თქვენ მსოფლიო გიცნობთ, როგორც სიტყვის კაცს, და თქვენს დაპირებებს მტკიცედ ახორციელებთ ხოლმე. ეს ცხადყვეს წლევანდელი წლის სექტემბრის დღეებმაც. მაგრამ ჩვენ ხომ საქართველოში გვახსოვს თქვენი სხვა ოფიციალური დაპირებანიც, რომლებიც გამოთქვით თქვენი სახელმწიფოს სახელით, რომ რუსეთი ყოველთვის მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მაშ, როგორღა გაბედეს ძალაუფლების მოყვარულმა ავანტიურისტებმა ამ სიტყვების შემდეგ აბუჩად აეგდოთ თქვენ, რუსეთი — და ახლა, არსებითად, არარად მიიჩნევენ ამ განცხადებას, ბომბავენ სოხუმსა და მის მიდამოებს, სპობენ მშვიდობიან ადამიანებს, რომელთა შორის არიან რუსებიც, ქართველებიც, სომხებიც, ებრაელებიც, უკრაინელებიც, ბერძნებიც...

ჩვენ ვიცით, თუ რა რთული ვითარებაა ამჟამად შექმნილი მოსკოვში, მაგრამ თქვენ ნუ ღელავთ — რუსეთის მოქალაქენი თქვენ გიჭერენ მხარს და ამიტომ, თქვენთვის ამ ძნელბედობის ჟამს, ჩაუფიქრდით აფხაზეთში მშვიდობის დამყარების საქმეს და ხელი შეუწყვეთ ამას. შეაჩერეთ ის მხარე, რომელიც მთავარ იმედებს ამყარებს სიცრუესა და სიმუხთლეზე. მხოლოდ თქვენ შეძლებთ ამ ჯოჯოხეთური ვანდალიზმის აღკვეთას, ამ გონებადაბინდულ ძალაუფლების მოტრფიალეთა ალაგმვას, რომლებმაც ფეხქვეშ გათელეს სოჭის შეთანხმება, თვით დიდი რუსეთი რომ აწერს ხელს. ნუთუ ისე გათავხედდნენ გუდაუთაში, რომ გროშ-კაპიკად აღარ უღირთ თქვენი ხელმოწერა.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენთვის დამახასიათებელი ენერგიულობით სასწრაფოდ განახორციელებთ ღონისძიებებს, რათა მეტი აღარ დაიღვაროს სისხლი აფხაზეთში.

საქართველოს სომეხთა კულტურული საქველმოქმედო საზოგადოება.

1993 წლის 27 სექტემბერი,
ქ. თბილისი.

საზოგადოება „თბილისელის“ მიმართვა

საქართველოს კულტურის ფონდთან არსებულმა საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელმა“ წერილი გაუგზავნა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის მეუღლეს, რომელშიც ნათქვამია:

პატივცემულო ნაინა მიხეილის ასულო!

ჩვენ, საქართველოს ყველა ეროვნების დედები, საზოგადოება „თბილისელის“ წევრები, მოგმართავთ თქვენ, როგორც პრეზიდენტის მეუღლეს და როგორც დედას.

იღუპებიან ჩვენი ყოვლად უდანაშაულო შვილები, იღუპება ჩვენი იმედი, ჩვენი მომავალი. დედისათვის არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს თავისი და სხვისი შვილები — ისინი ჩვენი საერთო შვილები არიან. ყველა ეროვნების შვიდი ათასმა დედამ მოაწყო სამშვიდობო აქცია და გაემართა კონფლიქტის ზონაში, რათა ჩამდგარიყვნენ მეომარ მხარეებს შორის, ამ უაზრო ომის შეწყვეტის მიზნით, მაგრამ ჩვენი ყველა ცდა ამაო გამოდგა.

პატივცემულო ნაინა მიხეილის ასულო! დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს გულის ძახილს სათანადო გაგებითა და მხარდაჭერით შეხვდება თქვენი, დედის გული.

გვეედრებით, იღონოთ ყოველივე, რაც კი ძალგიძთ.

იმედითა და პატივისცემით
მრავალეროვნული საზოგადოება „თბილისელის“ დედები.

1993 წლის 27 სექტემბერი.
ქ. თბილისი.

საერთაშორისო ცხოვრება

რა ხდება რუსეთში?

რუსეთის ამბებმა ყველა სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა თუ უკანა პლანზე გადასწია, ამაში გასაკვირი არაფერია. მსოფლიო გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს რუსეთში მიმდინარე ბრძოლას, უფრო ზუსტად ომს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის.

თუ თვალს გადავავლებთ სხვადასხვა ქვეყანაში პარლამენტსა და მთავრობას შორის წამოჭრილ ჭიდილთან დაკავშირებით ადრინდელ თუ დღევანდელ სიტუაციებს, დავინახავთ, რომ რუსეთში ან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ამდაგვარი ვითარება რაიმე განსაკუთრებულს ან განსხვავებულს არ წარმოადგენს. დასავლეთში ბევრგან უმტკივნეულოდ, ზოგან მწვავედ პარლამენტსაც ითხოვენ და ახალ არჩევნებსაც ნიშნავენ, მაგრამ რუსეთში მომხდარი ფაქტი მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ერთობ დამაფიქრებელი და შემაშფოთებელია, რამეთუ რუსეთი, თავისი უდიდესი სამხედრო პოტენციალით, ამოუცნობი მენტალიტეტით არამც და არამც არ შეიძლება მიეკუთვნოს ჩვეულებრივ სახელმწიფოთა რიცხვს.

ეკონომიკური სტაგნაციის, სამრეწველო წარმოების უდიდესი შემცირების, ინფლაციის და უმუშევართა რაოდენობის ზრდის მიუხედავად ეს ქვეყანა არის და მომავალშიც იქნება ისეთი სახელმწიფო, რომლის ცუდი თუ კარგი „ამოსუნთქვა“ სერიოზულ ზეგავლენას მოახდენს ჩვენი პლანეტის ცხოვრებაზე. სწორედ ამიტომაც ის, რაც შეიძლება მოხდეს მსოფლიოს ამა თუ იმ სახელმწიფოში, ცხადია, მხედველობაში არა მაქვს აშშ, ინგლისი, გერმანია, იაპონია, ნაკლებად შეიძლება მიესადაგოს რუსეთს.

1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ ქვეყანაში უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს ჰქონდა ადგილი. დაჩქარდა საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალ გზაზე გასვლის პროცესი. „პერესტროიკასთან“ დაკავშირებით 1985 წლიდან დაწყებული უნაყოფო საუბრის ნაცვლად კონკრეტული, გაბედული ნაბიჯები გადაიდგა, რამაც უდავოდ შეცვალა რუსეთის მოსახლეობის აზროვნება. მისი დამოკიდებულება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, ჩიკაგოელ ფინანსისტებთან, გაეროსთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საკუთარ პარლამენტთან, პრეზიდენტთან და მთავრობასთან, სამართალდარღვევასთან და საკუთარ მაფიასთან. მაგრამ სამწუხაროა ფაქტი, რომ ამ უკანასკნელის ლორმუცლურმა მიდგომამ საერთო საქმისადმი, უკანონო გზით მსხვილი კონვერტირებული ვალუტის ხელში ჩაგდების უდიდესმა მადამ, ერთობ შეარყია რუსეთის აღმასრულებელი ორგანოების პოზიციები ხალხის თვალში. დასავლური კრედიტების უნიათოდ განაწილებამ, რუსეთის უმდიდრესი წიაღიდან ამოქაჩული სიმდიდრეების საკუთარი გამდიდრების მიზნით დასავლეთში გაზიდვამ, უღიმღამოდ დაწყებულმა პირველმა საბაზრო ნაბიჯებმა, რაც სპეკულაციის და გაცვლა-გამოცვლის დონეს ვერ გასცდა, ახლადგამოჩეკილი „ბიზნესმენების“ აღმასრულებლებთან საეჭვო კავშირებმა უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში. თავის მხრივ აღმასრულებლებმა ეკონომიკურ ჩავარდნებში კანონმდებლები დაადანაშაულეს რეფორმებისათვის საჭირო აუცილებელი საკანონმდებლო აქტების მიღების გაჭიანურებაში, კორუფციაში, სერიოზული განსხვავებაა მთავრობის მიერ გაზაფხულზე ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ კურსსა და დღევანდელს შორის. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეაჩერა დაპირებული მილიარდნახევარი დოლარის რუსეთისათვის მიცემა.

კანონმდებლებსა და აღმასრულებლებს შორის გაჩაღებულმა ომმა კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც პრეზიდენტმა ელცინმა გადაწყვიტა საპარლამენტო არჩევნების ვადამდელი ჩატარება ა. წ. ბოლომდე; ამ გადაწყვეტილებას კონსერვატიული პარლამენტი აშკარა გაგულისებით შეხვდა და ეს არც არის გასაკვირი. პარლამენტის წევრებს არსებული კონსტიტუციის მიხედვით წინ სამოღვაწეოდ კიდევ წელიწადნახევარი აქვთ. თუ კრივში მიღებულ ტერმინს ვიხმართ „თეთრ სახლში“ თბილად მოკალათებულებმა წლის ქვევით დაუწყეს დარტყმა პრეზიდენტსა და მთავრობას. დაპირისპირებულმა მხარეებმა ხალხის თვალში უფრო მაღალი ქულების მოსაპოვებლად „სახელმწიფოებრივი ქურდობის“ საკითხი წამოსწიეს წინა პლანზე და ერთმანეთის დაუწყეს დადანაშაულება იმაში, თუ ვინ რამდენი მოიპარა და ვის რამდენი მილიონი აქვს გადამალული შვეიცარიის ბანკებში. „ოსტანკინოს“ ტელევიზიის გადაცემები დიდ სასამართლო პროცესს დაემსგავსა; ბრალმდებლები ხალხს აცნობდნენ მთავრობის ოპოზიციაში მდგომი პირებისა და, უპირველეს ყოვლისა, ვიცე-პრეზიდენტის რუცკოის მიერ ჩადენილ სათინასო მაქინაციებს. რაც შეეხება რუცკოის, პირველად მან ამცნო ფართო საზოგადოებრიობას მთავრობის ზოგიერთი კორუმპირებული წევრის მამხილებელი მრავალი ჩემოდანი დოკუმენტის შესახებ. საპასუხოდ არ დაყოვნდა საზღვარგარეთ გადახვეწილი, ერთობ საეჭვო რეპუტაციის მქონე პირების იაკუბოვსკისა და ბირშტეინის საქმეში გაყვანაც. სწორედ იაკუბოვსკის მიერ მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით გაკეთდა სახელმწიფო კომისიის სატელევიზიო ბრალდებები, რასაც ბირშტეინმა მოგვიანებით ფალსიფიკაცია შეარქვა. შვეიცარიელმა ბანკირებმა და იურისტებმა ეჭვი შეიტანეს დოკუმენტებში. ამ ქვეყნის ბანკების წესიდან გამომდინარე მხოლოდ ერთმა-ორმა ხელმძღვანელმა თუ შეიძლება იცოდეს თავისი კლიენტების დოკუმენტების შესახებ. შვეიცარიის საბანკო კანონის 47-ე მუხლის მიხედვით ბანკი უმკაცრესად იცავს ანაბრის საიდუმლოებას. ვინც გასცემს ამ საიდუმლოებას, სასჯელის სახით მრავალ ათას დოლარს გადაიხდის. საიდუმლოების დაცვის გარანტიაა ბანკის მოხელეების საკმაოდ მაღალი ხელფასი. მაგ. პრეზიდენტი 100.000-ზე მეტ დოლარს იღებს წლიურად. გარდა ამისა კანონის მიხედვით თუ რომელიმე პირი დაინტერესდება ბანკის კლიენტის დოკუმენტაციით, ბანკის ნებისმიერ მოხელეს შეუძლია გამოუძახოს პოლიციას და დააპატიმროს ცნობისმოყვარე. ცნობების მიღება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც კანონდამცავი ორგანოები ოფიციალური თხოვნით მიმართავენ შვეიცარიის ბანკებს, იქ არსებული დიპლომატიური წარმომადგენლობის მეშვეობით. პრესაში გამოქვეყნებული სტატიების მიხედვით მოსკოვის პროკურატურას ასეთი თხოვნით არ მიუმართავს არც შვეიცარიაში აკრედიტებული რუსეთის საელჩოსათვის და არც ბანკისათვის.

ერთმანეთის ტალახში ამოსვრამ დააწერინა ფრანგულ გაზეთ „მონდს“: „მოსახლეობა რწმუნდება იმაში, რომ ქვეყნის სათავეში ყველაფერი ძირფესვიანად ლპება, პოლიტიკოსების მიმართ მატულობს ინდიფერენტიზმი და სკეპტიციზმი, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება დეზორგანიზებულია, სახეზეა მატერიალური და მორალური ფაქტორების რეგრესი“.

დემოკრატები და კონსერვატორები ქვეყნის „სიყვარულისა“ და „პატრიოტიზმის“ მტკიცებაში ესტაფეტას ჰგლეჯენ ხელიდან ერთმანეთს. კონსერვატორები ბრალს სდებდნენ დემოკრატებს არა მარტო საზღვარგარეთ პოზიციების დათმობაში, არამედ თვით ქვეყნის შიგნით მხარეების და ოლქებისათვის თვითმმართველობის ზედმეტი უფლებების მიცემაში. მოწითალო-მოყავისფრო რეაქციული ძალები აშკარად ადანაშაულებდნენ აღმასრულებლებს საბჭოთა კავშირის დაშლაში და დღესაც დაბეჯითებით მოითხოვენ მის აღდგენას ისე, როგორც იყო 1991 წლის აგვისტომდე. ერთი-მეორის ჯიბრით თუ აღმასრულებელმა მხარემ 1993 წლის ივლისის ბოლოს ძველი ფულის ნიშნების ახლით შეცვლა და ამ ნიშნების ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის მიუცემლობა გადაწყვიტა, რითაც პოლიტიკური არეულობით და შიდა ეკონომიკური ჩავარდნებით გათანგული რესპუბლიკების მოსკოვზე დამოკიდებულებული ერთიანი მონეტარული სივრცის შექმნისთვის საჭირო თანხმობა მიიღო, მეორე, კონსერვატიულმა მხარემ ხასბულატოვის სახით, სნგ-ს წევრ-სახელმწიფოებს გაერთიანებული პარლამენტის სესია შესთავაზა. მისდა სამწუხაროდ ამის განხორციელება შეუძლებელი გახდა პრეზიდენტის გადაწყვეტილების შემდეგ.

დემოკრატები საგაზეთო სტატიებით ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი ნელა, მაგრამ მტკიცედ გამოდის ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიდან, სულ უფრო გამოკვეთილად აყალიბებს პოლიტიკურ სტრატეგიას და წარმატებით იცავს თავის ეროვნულ ინტერესებს. მან დაძლია „გორბაჩოვის სინდრომი“, როდესაც მოუფიქრებლად, ყოველგვარი პოლიტიკური „ვაჭრობის“ გარეშე ხდებოდა პოზიციების დათმობა. აღმასრულებელთა პოზიციების განმტკიცებას ხელი შეუწყო ბოლო პერიოდის კრემლის შეხვედრებმა, როდესაც პრეზიდენტი ელცინი პირადად შეხვდა და ესაუბრა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ლიდერებს. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა აზერბაიჯანის ლიდერის ალიევის მართლაცდა გულითადი განცხადება — „თითქოსდა არც კი წასულიყო კრემლიდან“. მოსკოვისაკენ ლტოლვამ ამ დროისათვის მეტად საჭირო თვითდაჯერება გამოიწვია დემოკრატებში. ალბათ ამან დააწერინა პრეზიდენტის პრესის სამსახურის ხელმძღვანელს ვიაჩესლავ კოსტიკოვს ამას წინათ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“: „ჩვენ [illegible] აღმოვაჩინეთ, რომ მოსკოვისკენ მიმავალი ბილიკი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებიდან არც თუ ისე დიდადაა დაფარული ბალახით. რად ღირს რამდენიმე ეროვნული ეკლიანი სარეველას ამოგლეჯა და გახსნილია გზა ახალი გარიგებებისათვის, რომელიც მომავალი თანამეგობრობის გეოპოლიტიკურ კონტურებსა და სტრატეგიულ პარამეტრებს განსაზღვრავს“.

დემოკრატები უმტკიცებდნენ ხალხს, რომ ისინი უფრო თანამიმდევრულნი და მტკიცენი არიან რუსეთის ინტერესების დაცვის საქმეში, ვიდრე სხვები. და ისინი კოსტიკოვის სიტყვებს მოიყვანდნენ: „მხოლოდ [illegible] ნაციონალისტები იმათგან, რომლებიც ნორმალური პოლიტიკური კომბინაციის პასუხად წვავენ რუსეთის დროშებს, ვერ ხედავენ დღეს, რომ ეკონომიკური კავშირს, მილიონობით რუსეთისა და ახლო საზღვარგარეთის მცხოვრებთა სისხლსა და ტანჯვა-წამებაზე რომ აღმოცენდა ლოგიკურად და გარდუვალად მოჰყვება პოლიტიკური კავშირი. ეს დროის საკითხია. მაგრამ უარყო ეს იმპერატივი, ნიშნავს რომ ვერ დაინახო და ვერ გაიგო ვერც ისტორია, ვერც მილიონობით უბრალო ადამიანის რეალური იმედი“.

კონსერვატორებმა პრესის ფურცლებზე გააქტიურეს საკუთარი პოზიციების დაცვა. ისინი წერდნენ, რომ პრეზიდენტი და მისი „მომსახურე“ ძალები დაბეჯითებით ცდილობდნენ ჩაუჭედონ ხალხს თავში, რომ ბრძოლა მიმდინარეობს „დემოკრატ“ პრეზიდენტსა და „კომუნისტურ, კონსერვატიულ“ პარლამენტს შორის, „კარგ“ ელცინსა და „ცუდ“ ხასბულატოვს შორის. კონსერვატორები ამტკიცებდნენ, რომ ასე არ არის, რომ ბრძოლა მიმდინარეობს ქვეყნის პოლიტიკური კურსისათვის, კრახის თავიდან ასაცილებლად, რომლისკენაც მიჰყავს რუსეთი დღევანდელ სახელმწიფო პოლიტიკას, რომ დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა დამღუპველია.

პოლიტოლოგი ბორის პუგაჩოვი ამას წინათ „როსიისკაია გაზეტაში“ წერდა: „რეფორმები“, რომლებსაც მოჰყვა წარმოების დაშლა, ხალხის გაღატაკება, კრიმინალურ-მაფიოზური ნეპმენების ბატონობა, — ანტირეფორმებია და ასეთი კურსი უცილობლივ შეიცვლება. პრეზიდენტს შეუძლია მხოლოდ ერთ ძალას დაეყრდნოს — კანონის ძალას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის როგორც კანონიერი პრეზიდენტი კარგავს თავის საკუთარ მნიშვნელობას.

სექტემბრის პირველ დეკადაში პრეზიდენტის ოდნავ შერბილებულმა პოზიციამ გარკვეული იმედი შექმნა, რომ დაპირისპირებული მხარეები ერთი-მეორისაკენ გაიმართებიან, მაგრამ ეს იყო მცირე ხნით. პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ, რომელსაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ლეგიტიმურს ვერ ვუწოდებთ, შეძრა მსოფლიო. ერთნი ამტკიცებენ, რომ ანალოგიური ნაბიჯი მას გაცილებით ადრე უნდა გადაედგა, მეორენი კი თვლიან, რომ ასეთი დაპირისპირება უსისხლოდ არ დამთავრდება.

აი რას წერს ფრანგული გაზეთი „კოტიდიენ დე პარი“: „ბორის ელცინის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას რუსეთის პარლამენტის დათხოვნასა და არჩევნებამდე მთელი ძალაუფლების საკუთარ ხელში აღებასთან დაკავშირებით — პუტჩი ჰქვია. პუტჩის ვიცე-პრეზიდენტის გენერალ რუცკოის გადაწყვეტილებაც, რომელმაც თავი გამოაცხადა რუსეთის სახელმწიფოს მეთაურად. ორი პუტჩი ერთ დღეში იმაზე მიგვანიშნებს, თუ რა დონეზეა პოლიტიკური ქაოსის მასშტაბები დანგრეულ რუსეთში, რომელმაც დაკარგა ყველა ორიენტირი“.

„კოტიდიენ დე პარი“ ასევე წერს: „რატომ აყოვნებდა ელცინი პარლამენტზე ამ საბოლოო დარტყმას? პარლამენტზე, რომელიც ძველი რეჟიმის დროს იქნა არჩეული და რომელიც ჩამოწერილი საარჩევო „აპარატჩიკებისაგან“ და დეპუტატებისაგან შედგება და რომლებიც დღეს მხოლოდ თავიანთ თავს წარმოადგენენ პარლამენტში. ამ ნაკლებად წარმომადგენლობითს პარლამენტს და მის ირაციონალურ ოპოზიციას აღმასრულებელი ხელისუფლებას რომ აკვირდები, ალბათ გამართლებულია სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური დეზინტეგრაციის პერიოდში, რასაც რუსეთი განიცდის, არ შეიძლება დაბეჯითებით ამტკიცო, რომ ელცინს გაუმართლებს ასეთი სვლა. რაც პოკერის პრინციპს წააგავს. რუსეთის პრეზიდენტს სამი თვე აქვს წინ, რომ მოემზადოს არჩევნებისათვის. ამ ხნის მანძილზე მას მოუხდება მთელი პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება. პოლონეთის მაგალითიდან გამომდინარე, ძნელია დასაწყისიდანვე იმის გათვლა, რომ პარტია მოგებულია“.

ინგლისური გაზეთი „თაიმსი“ აღნიშნავს: „დათხოვა რა პარლამენტი და დანიშნა არჩევნები, პრეზიდენტმა რუსეთი სამოქალაქო ომის პირას მიიყვანა“.

გერმანული „აუგსბურგ ალგემაინე“ წერს: „რუსეთის პრეზიდენტი იმ გზით წავიდა, რომლიდანაც უკან დასახევი არ არსებობს. ახლა გამოჩნდება, თუ ვის ექნება მეტი მხარდაჭერა, როგორც პრეზიდენტმა, ისე მისმა ოპოზიციამაც სათანადო მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა. ბორის ელცინმა ადრე განაცხადა, რომ სექტემბერი ცხელი იქნება და უნდა ვიმედოვნოთ, რომ ხელისუფლებისათვის ბრძოლა ისე ცხელი არ იქნება, რომ გადაიზარდოს სამოქალაქო ომის ხანძარში“.

ჩვენც მეტი არა დაგვრჩენია რა, რომ სხვა რამ ვინატროთ.

ჰამლეტ ჭიპაშვ[illegible]ი.
პოლიტიკური მიმომხი[illegible]
24/IX [illegible] წ.

დამკვირვებლის სტატუსით

თბილისის აეროპორტში, როგორც ყოველთვის აფხაზეთში მდგომარეობის გართულების დროს, პოლკოვნიკი გურამ ჯანიაშვილი, სოხუმში გასაფრენად გამზადებული, რეისს ელოდება.

— კონტუზიამ გაგიარათ? (იქნებ გაიხსენონ მკითხველებმა „აბზარში" დაბეჭდილი შოთა მალარაშვილის წერილი მძიმედ კონტუზირებული ავდანილთა ბატალიონის მეთაურის გურამ ჯანიაშვილის გმირული შემართების შესახებ).

— არა. მაგრამ თბილისში ახლა რა გამაჩერებს.

ვიწყებ სახელდახელო საუბარს ციკლიდან „ექიმი გვირჩევს", რომ კონტუზიასთან ხუმრობა არ შეიძლება, რომ მკურნალობის დასრულება აუცილებელია და პასუხად ვიღებ:

— პირველი ხომ არ არის, — მეთხრა....

ისევ მიდის პოლკოვნიკი ჯანიაშვილი სოხუმს საომრად, ისევ ვერ მივდივარ მე. უკვე მეორედ, მაგრამ ეს ჩემი პრობლემაა და თქვენ თავს არ შეგაწყენთ.

ყველაზე ჩვეულებრივი, ყველაზე რიგითი, ყველაზე უმნიშვნელო რეისი თბილისი-მოსკოვი 2 საათსა და 10 წუთზე მეტ დროს არ ანდომებს ამ მანძილის დაფარვას.

სპეციალურმა რეისმა, რომელსაც საქართველოს მთავრობის დელეგაცია მიჰყავდა მოსკოვს, 3 საათი და 8 წუთი იფრინა. თანაც, არც მარშრუტი დაუგრძელებია, არც უტრიალია მოსკოვის თავზე — „ნელი სიჩქარით" აფრინეს „ორბის" პილოტებმა „ტუ-134". ვნუკოვო-1-ზე დაშვების ზუსტი დრო — 17 საათი და 08 წუთი ეკიპაჟს მაშინ აცნობეს, როცა თვითმფრინავი გარბენს ამთავრებდა: მოსკოვში სახელმწიფოთა ხელმძღვანელების ჩაფრენის გრაფიკში ამ დროისთვის ჩართეს ჩვენი დელეგაცია.

ჩვენი მკითხველებისთვის ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას ხელმძღვანელობით 24 სექტემბერს მონაწილეობდა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრების, შემდეგ ამ ქვეყნების მეთაურთა შეხვედრებში, რომლებიც ეკონომიკური კავშირის პარამეტრებისა და შექმნის საკითხს მიეძღვნა.

საქართველო ამ შეხვედრებზე დამკვირვებლის სტატუსით იყო წარმოდგენილი.

დელეგაციის შემადგენლობა: რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი მიხეილ ჯიბუტი, საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში ვალერიან ადვაძე, საქართველოს რესპუბლიკის დესპანი ოთარ ჩირქეზია, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ნუგზარ ფიფია და საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი ვალერი ჩიჩელაშვილი.

მოსკოვის შეხვედრები, მოგეხსენებათ, უმაღლესი დონისა იყო. ალბათ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლობას, განსაკუთრებით კი პრემიერს იმ სიტუაციაში, სადაც ყველა სიტყვა და ჟესტი გათვლილია, სადაც მთელი მსოფლიო ტელე და ფოტოკამერების ობიექტივებით გიყურებს, გისმენს, იწერს ვიდეო და მაგნიტოფირზე, შიფრავს და გაფასებს.

ბატონი ოთარ ფაცაცია პირველად მონაწილეობდა სახელმწიფოთაშორის ამ რანგის შეხვედრაში და, წინასწარ გეტყვით, — ღირსეულადაც: სრულიადაც არ გავდა დაბნეულ თეთრ ბატკანს ორთაბრძოლებში გამობრძმედილ ყოჩებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ საერთო მდგომარეობა საკმაოდ რთული, მეტიც, — მძიმე იყო. ალბათ, ისიც სათქმელია, რომ ამ შეხვედრებზე შექმნილი სიტუაცია უფრო ინერტული იყო საქართველოს მიმართ, ვიდრე კეთილგანწყობილი, ან აქტიურად დაინტერესებული. აქცენტები აშკარად გადანაცვლებული იყო რუსეთში მიმდინარე მოვლენებისაკენ და აზერბაიჯანის თანამეგობრობაში შესვლისაკენ. ამ ფონზე უკრაინისა და თურქმენეთის მიერ განცხადებული პოზიცია, რომ ისინი მხოლოდ ასოცირებული წევრების სტატუსით შევიდოდნენ ეკონომიკურ საბჭოში, დროებით გაუგებრობად და მეორეხარისხოვან ფაქტად იქნა აღქმული.... ასეთი განწყობილება ამ ქვეყნების პოზიციის ტრანსფორმაციის სერიოზულ ფაქტორად იქცა: ბოლოს და ბოლოს უკრაინამაც და თურქმენეთმაც განაცხადეს, რომ ერთი თვის მანძილზე ისინი გადახედავენ თავიანთ არგუმენტებს ეკონომიკური საბჭოს სრულუფლებიან წევრებად მიღების სასარგებლოდ. მოვლენათა განვითარების ამგვარ ლოგიკას საქართველოსთვის ზუსტად ის შედეგი მოჰყვა, რომელიც უნდა მოჰყოლოდა: ჩვენს სურვილს პერსპექტივაში ასოცირებულ წევრად შესვლის თაობაზე დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობაში აუცილებელი გაერთიანების წინაპირობის შლაგბაუმი დაუხვედრეს...

მაგრამ ეს იქნება ხვალ. ახლა კი, მოსკოველ ავიადისპეტჩერთა მიერ მოულოდნელად ბოძებული დრო უქმად არ დავკარგოთ და დელეგაციის წევრს, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ნუგზარ ფიფიას ვკითხოთ, თუ რა მისია ეკისრება ჩვენს ასეთ წარმომადგენლობით ვიზიტს მოსკოვში:

— ჩვენი დელეგაცია მეთვალყურის სტატუსითაა მიწვეული. გვაინტერესებს, თუ რაზე იქნება საუბარი. თუმცა, დოკუმენტები წინასწარ მივიღეთ და პრინციპულად გავეცანით საკითხების იმ წყებას, რაზეც გაიმართება მსჯელობა. ამთავითვე ვიტყვი, რომ ამ ეტაპზე ზედმეტია ლაპარაკი ეკონომიკურ კავშირში ჩვენს შესვლაზე. მაგრამ მონაწილეობის მიღება მრავალმხრივ სასარგებლო იქნება: გავერკვევით, თუ რას შექმნიან, როგორ მივლენ გარკვეულ დასკვნებამდე, გადაწყვეტილებამდე. ამის ცოდნა არა მარტო საინტერესოა, არამედ აუცილებელიცაა ჩვენთვის. რა ეკონომიკური კავშირები დამყარდება, როგორი ინტენსივობის, როგორი ეკონომიკური ბალანსისთვის გათვალისწინებული, რამდენად ურთიერთსაიმედო იქნება, ურთიერთმომგებიანი და ა. შ. არ უნდა იყოს ჩვენთვის სულერთი. ბოლოსა და ბოლოს, საქმე ეხება ისეთ ქვეყნებს, რომლებთანაც სულ ახლახან ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ვერიალებდით და რომელთა დღევანდელი მდგომარეობა ჩვენთან არსებული სიტუაციის მსგავსია.

ჩვენ საშუალება გვეძლევა უშუალოდ დასწრების ეფექტის უპირატესობით ვისარგებლოთ იმის გადასაწყვეტად, თუ რა სახისა და ინტენსივობის კავშირი დავამყაროთ თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკურ საბჭოსთან, ცხადია, თუ იგი შეიქმნა. ვნახოთ. ჯერჯერობით ისევ გასარკვევია.

— მაგრამ ეკონომიკური ურთიერთობის რაღაც საფუძვლები ცალკეულ ქვეყნებთან ჩვენ თითქოს უკვე გვაქვს: ხელმოწერილია არა ერთი ეკონომიკური შეთანხმება — თუნდაც სულ ახლახან ჩვენი და რუსეთის პრემიერების მიერ ხელმოწერილი შეთანხმებები.

— ჩვენ მომხრე ვართ, რომ პირდაპირი კავშირები დავამყაროთ ყველა ქვეყანასთან. მათ შორის, ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკებთან. არც რუსეთია გამონაკლისი. ამ ქვეყანასთან ჩვენ მართლაც რამდენიმე მეტად საინტერესო დოკუმენტს მოვაწერეთ ხელი. მათ შორისაა შეთანხმება კრედიტის შესახებ. პირველ ეტაპზე, მართალია, მხოლოდ 10 მილიარდი მანეთი გამოგვეყოფა, მაგრამ ეს ჩვენთვის [illegible] მისწრებაა, რადგან ამ თანხით უნდა შევიძინოთ ქვეყნისთვის ისეთი სასიცოცხლოდ აუცილებელი რამ, როგორიცაა მაზუთი (საამისოდ მანამდე კაპიკიც არ გაგვაჩნდა) და მეორე, შედარებით მცირე ნაწილს ხორბლის შესასყიდად დავხარჯავთ. ფაქტია, რომ აქამდე რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის განმსაზღვრელი არავითარი დოკუმენტი არ გაგვაჩნდა. ეს ვაკუუმი, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენდა ჩვენს ურთიერთობაზე ამ ქვეყანასთან, ის დოკუმენტები კი, რომლებსაც ახლახან ხელი მოვაწერეთ, გარკვეულად არეგულირებს ჩვენს ეკონომიკურ ურთიერთობას. თანაც მათში არაფერია ჩვენთვის კაბალური, პირიქით, ესაა მიზნობრივ ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობის განმსაზღვრელი სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებები.

— თუ ქვეყნებთან, რომლებიც ეკონომიკურ კავშირში აპირებენ გაერთიანებას, ჩვენ დადებული გვაქვს ეკონომიკური ხელშეკრულებები, რა თვისებრივად ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე შეიძლება საუბარი ამავე ქვეყნების ეკონომიკურ გაერთიანებასთან?

— იმ დოკუმენტებში, რომლებსაც ჩვენ გავეცანით და რომლებიც განსაზღვრავს ამ ურთიერთობებს, პირდაპირ გეტყვით, არის ამ კავშირში შემავალი ქვეყნების ეკონომიკური სუვერენიტეტის დაკარგვის ელემენტები.

— მაშასადამე, ისევ ცენტრი?

— ცენტრზე ლაპარაკი არ არის. მაგრამ, თუ მანეთის ზონაში შეხვალ, მაშინ ფულად ემისიას, კრედიტებს და ბიუჯეტს უკვე რუსეთი განსაზღვრავს. ამას არც მალავენ. მაგრამ როდესაც სხვა ქვეყანა განსაზღვრავს ბიუჯეტს, რისი სრულუფლებიანი პრიორიტეტი უნდა იყოს საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას და არა რუსეთის ფინანსთა სამინისტროს, ეს, ცხადია, არის სუვერენიტეტის ნაწილობრივი დაკარგვა.

ამას ლაპარაკობს პრეზიდენტის გუნდი (მაგალითად, ვიცე-პრემიერი შოხინი) შელამაზების გარეშე: თქვენ უნდა იცოდეთ, გვეუბნებიან, რომ თუ გსურთ შემოსვლა ეკონომიკურ კავშირში, სუვერენიტეტის გარკვეული წილის დაკარგვასაც უნდა შეეგუოთ. როდესაც ჩვენს ფულზეა ლაპარაკი, — ხაზს უსვამენ ისინი, — და ამ ფულის ზონაში შეგიყვანთ, ამ ფულის მიმოქცევის ოდენობას განვსაზღვრავთ ჩვენ და არა თქვენ. ფიოდოროვის (ფინანსთა მინისტრის) და ლობოვის (ვიცე-პრემიერის) ჯგუფების დაპირისპირება პირველის გამარჯვებით დამთავრდა. ლობოვი, მოგეხსენებათ, სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს. ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებასთან მას უკვე ხელი აღარა აქვს. ფიოდოროვის გუნდი არის რეფორმატორობის პრინციპის გამტარებელი გუნდი, რომელსაც პირველ რიგში რუსეთის ეკონომიკის გაძლიერება აქვს დასახული მიზნად. მაშასადამე, თუნდაც ფულის მიმოქცევას იგი თვითონვე უნდა განაგებდეს. ეს საქმე ჩვენ რომ ჩაგვიგდონ ხელში, მაშინ რუსეთის ეკონომიკა წაგებული დარჩება. ამიტომ თამაშობენ გახსნილი კარტებით და ამ შემთხვევაში აღიარებული პრინციპით: გვეუბნებიან, — გსურთ, მიიღეთ თამაშის ეს წესი, არა და — თქვენი ნებაა. კალთებს არავინ გვახევს.

ჩვენი პოზიცია გადაწყვეტილია: ჩვენ დავესწრებით როგორც მეთვალყურენი, ვიმეორებ, დავესწრებით და უმაღლეს დონეზე გავიგებთ, რა ხდება იმ ქვეყნებში, რომლებთანაც ეკონომიკურად დაკავშირებულნი ვიყავით და დღესაც ვართ. ამ კავშირში შესვლის განზრახვა ჩვენს დელეგაციას არა აქვს.

— მიგაჩნიათ, რომ დღევანდელ სიტუაციაში მოსკოვში საქართველოს დელეგაციის ჩასვლა ერთგვარი დემონსტრაციაა დემოკრატიული რუსეთისადმი ჩვენი მხარდაჭერის?

— რა თქმა უნდა, არის. და ასეც უნდა იყოს. ჩვენს შორის ურთიერთობის დათბობაში ცუდი არაფერია.

ისევ გავუსწროთ მოვლენებს: თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა შეხვედრაზე პრეზიდენტი ბორის ელცინი სწორედ ასეთი შეფასებით დაიწყებს თავის სიტყვას და მადლობას ეტყვის „უკლებლივ ყველას" თანადგომისათვის.

კულუარები

პრეზიდენტ-ოტელის პრეტენზიული ინტერიერი — ევროპული კომფორტის მოსკოვის ნიადაგზე გადმონერგვის ბუტაფორული დემონსტრაცია იყო, როგორც ის „ხელოვნური ჯუნგლები", რომლის „ჩრდილსაც" დილიდანვე დაღლილმა ჟურნალისტებმა თავი შეაფარეს. დაღლილმა მრავალრიცხოვანი კორდონების გადმოლახვით, რომელთა „განწესის უფროსები" ნებისმიერ მიმართვაზე ჯერ გვპასუხებდნენ — „ნეტ". შემდეგ (თუ დაჟინებით მოითხოვდი) გაერკვეოდნენ საქმის არსში.

არსი რა — შეშვება-არშეშვება!

მეტი არაფერი.

მაგრამ ძალიანაც ვერ უსაყვედურებდი. ის, რაც მოსკოვში, „თეთრ სახლში", იმ დღეებში ხდებოდა (ეს ყველამ იცის), არა მარტო შეშფოთების, სერიოზული შიშის საფუძველს იძლეოდა: სწორედ წინა ღამის მოკლა სტრელიცის ბოევიკმა მილიციის კაპიტანი და ტელეეკრანთან მჯდარი დიასახლისი.

რას წარმოადგენს მოსკოვის „ომონი", იქ რეალურად ვნახეთ — თანამედროვე ეკიპირება, თანამედროვე იარაღი, გაწვრთნილობაც თანამედროვე.

არავინ ცდილობდა იმის დამალვას, რომ უმაღლესი დონის შეხვედრას შეიარაღებული სპეციალური რაზმები იცავდნენ.

ცნობისთვის: საქმეში კარგად გარკვეულმა სპეციალისტმა გვითხრა, რომ თუ სხვა დროს პრეზიდენტ-ოტელში გამართული ამგვარი შეხვედრების მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვას 25 კაცით ახერხებდნენ, იმ დღის 500 კაცი იყო მობილიზებული.

საზეიმო-შეშფოთებული განწყობილებით შეხვდა ლუჟნიკებივით ვრცელი პრეზიდენტ-ოტელი 12 სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრებს.

ჩასაფრებული ოპერატორების რიგის გავლით საქართველოს დელეგაცია საზეიმო დარბაზის კიბეებზე მძიმედ ადიოდა.

• • •

ამ წერილს გაგრძელება უნდა ჰქონოდა ხვალინდელ ნომერში.

მე ველარ შევძლებ სტრიქონის დაწერას. მაპატიეთ.

• • •

სად არის ახლა პოლკოვნიკი გურამ ჯანიაშვილი?

არმაზ სანებლიძე,
„საქართ. რესპ". სპეც. კორ.
მოსკოვი-თბილისი.

სურათზე: ბატონი ოთარ ფაცაცია საქართველოს დელეგაციის წევრებთან ერთად შესვენების დროს.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისათვის").

იმათ სინდისზე იყოს!

„გამარჯობა, აფხაზეთო შენ!" — რამდენი წერილის სათაური ყოფილა გალაკტიონის ეს ფრთხილი სტრიქონი. რამდენჯერაც ამ სიტყვებით მივმართავთ აფხაზეთისთვის, იმდენჯერ იმ ეჭვის გრძნობა გვღრღნია, რომელიც უფრო სხვისი მეცადინეობით, ვიდრე ბუნებრივად, მაგრამ მაინც ბზარივით გაჩნდა და არსებობდა ჩვენსა და მათ შორის. რამდენჯერაც „გამარჯობა, აფხაზეთო შენ", გულთხარით, იმდენჯერ ის ვაგრძნობინეთ, რომ თქვენიანები ვართ, თქვენთან სადავო არაფერი გვაქვს. ჩვენ ერთმანეთს ხელს არ ვუშლით, ჩვენ ერთმანეთთან შეგვიძლია წავიდეთ. ამის შეხსენება კი ხშირად იყო ხოლმე საჭირო, რადგანაც აფხაზეთი ნაღვერდალსა ჰგავდა, ნაცარში დამალულს, დასჭირდებოდათ, ნაცარს მოაცილებდნენ და ცეცხლიც მზად იყო...

რამდენჯერაც აალდა, იმდენჯერ „გამარჯობა, აფხაზეთო, შენ!" — მდაბალი სალამი შევუთვალეთ, დიდსულოვნად შევახსენეთ — ე, ბიჭო, თქვენიანები ვართ, არა გჯერათ? აი, თქვენ უნივერსიტეტი, ინებეთ! კიდევ არ გჯერათ? აი თქვენ ტელევიზია, ინებეთ.... ინებეს! ერთიც მიიღეს, მეორეც, ბევრი სხვაც, მაგრამ არ დაიწმინდა წყალი. არ მინდა, ვიფიქრო, რომ ეს ანგარიშიანი პატივი იყო და საჭირო ჟამს იმიტომ გამახსენდა. ეს ჟესტი იყო. ჩამოსართმევად გაწვდილი ხელი იყო. მაგრამ, ამაოდ: სხვას ეჭირა ასტამი ხელში, დასჭირდებოდა თუ არა, ნაცარს მოუჩხრეკდა და ალიც მზად იყო.

მახსენდება წლების წინათ, როცა აფხაზებმა კიდევ ერთხელ აგვერიეს. ერთმა ჩემმა კოლეგამ, [illegible] ლირიკულმა ქალბატონმა, ღია წერილი მისწერა აფხაზებს, კერძოდ კი, თავისი სტუდენტობისდროინდელ მეგობარს. გაიხსენა და გაახსენა ერთად მეცადინეობის დღეები, ერთად გატარებული დრო და ის საჩუქრები თუ სიხარულები, რითაც თბილისელი გოგო-ბიჭები ანებივრებდნენ აფხაზ მეგობრებს. „ახლა, როცა გავიგე, რომ შენ იქეთა ხარ, მახსენდება ყველაფერი. გული მეკუმშება და ვერ დაგიმალავ, ვიგრძენი. რისხვა მომეძალა, „არამი იყოს ის ყველაფერი", დავაპირე მეთქვა და... „ალალი იყოს"! ჩემდა უნებურად აღმომხდა". — ასე წერდა კოლეგა. ამ წერილის დაწერიდან ბარე ხუთ წელზე მეტმა განვლო, მაგრამ დღემდე შემორჩა მეხსიერებას, როგორც ძლიერი შთაბეჭდილება.

— ალალი იყოს! — დავეთანხმე მაშინ ჩემს კოლეგას, დღესაც ვეთანხმები: ალალი კი იყოს, მაგრამ, თქვენს სინდისზეც იყოს!

საკუთარი შეცდომებისთვის ისჯება ყველა. ჩვენზე ათასს ვიტყვით ბევრჯერ შეგვახსენეს — დიდსულოვნებასა და სისულელეს შორის ბეწვის ხიდი ძევსო. აფხაზებს კი საშველოშველოდ ეყოთ, რაც ორგულობისთვის თავად დაიმართეს — აღარ არსებობს ის ცნობილი ბაღრა. ის სოხუმი, რაც დარჩა, იმ ნანგრევების გადასარჩენადაც ქართული სისხლი დაიღვარა (აი, ვის სტკივა თავის მამული), იმათ კი სასჯელად ის დაუპყრელი აფხაზი ჰაბუკები და ლამის გადაჯიშებული, გაქრობის პირას მისული გვარი ერგოთ.

თავის შეცდომებისთვის ისჯება ყველა. გუშინწინდელმა საინფორმაციო გამოშვებამ ხოტბა შეასხა ლოთი ქობალიასა და მისი მეომრების ამჯერად რაინდულ საქციელს, გვიჩვენა კადრები აფხაზეთში ერთმანეთს როგორ ჩაეხუტნენ და ჰკოცნიდნენ გუშინ ერთმანეთს ავტომატმომარჯვებული, დაპირისპირებული ქართველები და ამას, სისხლისმიერი ძმების გაერთიანება უწოდა.

— ძმები ვართ. — ჩაილაპარაკეს ტელეეკრანთან. პირველი ნამდვილად არ არის ეს ჩახუტება, ბოლოს? არ ვიცი. რაა ქართველისთვის დღეს ჩაეხუტოს, ხვალ ავტომატით ერთმანეთს დაერიოს. რაღა დაგიმალოთ და, ვერც მე დავიჯერე, რომ ეს სისხლისმიერი ძმები სამუდამოდ ჩაეხუტნენ ერთმანეთს და გაერთიანდნენ. ვნახოთ.

ასოციაციები ამოტივტივდა „თქვენ რა გგონიათ, ცხინვალის იქით და აქეთ ვინ არიან? ქართველები. — მითხრა სულ ცოტა ხნის წინათ საუბრისას ბატონმა ვაჟა ადამიამ. — როცა დასჭირდებათ, ერთმანეთთანაც მიდიან, სიგარეტი მომაწოდეო, ეუბნებიან და მოაწევინებენ კიდეც ერთმანეთს. ქართველები არიან და მოგახსენებთ, ხანდახან ერთადაც წაუხემსებენ ხოლმე".

სწორედ ეს არის საქმე, მერე ერთმანეთს ტყვეებად რომ აიყვანენ, სად გადამალეს, იმასაც აღარ ეუბნებიან ერთმანეთს, ნერვებს აწყვეტენ, ამწარებენ და გამწარებულები საპარლამენტო ჯგუფს, იგივე ადამიას ხელმძღვანელობით შესთხოვენ; ტყვეები მოგვაძებნინეთო.

ცოტა ხნის წინათ აფხაზეთიდან ჩამოსული ვაჟკაცები იმასაც ყვებოდნენ, რა გგონიათ, რა გვაქვს აფხაზებთან გასაყოფი. ერთხელ პოზიციებზე გავმაგრდით, სადღაც მთიან ადგილას. იქიდან აფხაზები გადმოდიოდნენ, სიგარეტი მოგვთხოვეს. ჩვენ პური გვქონდა, არაყიც მოიძებნა და...

სამაჩაბლოც გავიხსენოთ: რა გგონიათ, ოსები და ქართველები — მითხრა თამარაშენიდან ჩამოსულმა ქართველმა, — ერთად გაზრდილები ვართ. წამიერად მეგობრობა და ბავშვობაში ერთად ნათამაშევი ბურთი გაახსენდებოდათ, ცხინვალის და თამარაშენის ზღვარზე აქედან ჩვენები გადადიოდნენ, იქიდან ისინი შემობრუნდებოდნენ. იყო ბაასი, სიგარეტის გაზიარება, მერე გაახსენდებოდათ, რომ „მტრები" არიან, აქცევდნენ ერთმანეთს ზურგს და, მიმოიხედავდნენ — ხომ არავინ დაგვინახაო...

აი, დასტური იმისა, რომ სხვას უჭირავს ასტამი ხელში, მოჩხრეკს ნაცარს და ცეცხლიც მზად არის. ორგულობისთვის კი ისჯება ყველა: აფხაზიც, ოსიც...

მძიმე დროს ვცხოვრობთ: თითოეული დღე შესაძლოა ათწლეულებს უდრის.

ალბათ დამთავრდება ეს ომი როცა იქნება, როგორც იქნება, და იქ წასული ბიჭები, რომელთაც ცხოვრებამ თუ მზაკვრულმა პოლიტიკამ, შინაურმა ორგულობამ თუ უმადურობამ სიყმაწვილის უდღეობა აღუკვეთა და აიძულა იყოს კაცი, ვინც აქ დარჩა, არც იმათთვის არის იოლი გაუძლონ იმ სტრესებს, იმდენ ლახვარს, სასოწარმკვეთ ინფორმაციებს თუ აღტაცებას პიროვნული გმირობის გამო.. ჩვენ ამ ომში დავბერდით. თითო დღეში წლები გვიმატება.

14 სექტემბერი.

15 სექტემბერი.

16, 17, 18... ყოველი დღე ისტორიულია, თითოეული მათგანი ალბათ გახდება ჟამთააღმწერლის ყურადღების ღირსი. ასეთი მძაფრი, კატაკლიზმებით სავსე დროს მოგვიწია ცხოვრება.

28 სექტემბერი, ისიც მოვისმინეთ, რომ აფხაზები მოლაპარაკების მაგიდასთან მისხდომას ითხოვენ თურმე, ხელი გამოგვიწოდეს ჩამოსართმევად? ეს ხელი უკვე სისხლიანია. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლეთ. ეს უკანასკნელი წვეთიც დაიღვარა. ეს წვეთი მომხდური აგრესორის, უგულო მსოფლიოს, ყველაზე მეტად კი შინაური მოღალატეების სინდისზე იყოს, ვისთვისაც არც სოხუმი იყო ტკივილი და არც მისი დაცემა — ტრაგედია.

ზაირა ჩომახაშვილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სიტუაცია რუსეთში

მოვლენათა განვითარება რუსეთში დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოების, პოლიტიკური და სახელმწიფო წრეების კვლავ დიდ ყურადღებას იწვევს. თუმცა, პოლიტიკური ვითარების გარკვეულმა სტაბილურობამ ერთგვარად შეანელა საინფორმაციო საშუალებების ინტერესი რუსეთის ამბებისადმი. მოვლენათა შეფასება-ანალიზიდან გაზეთები და ტელეკომპანიები სულ უფრო მეტად მოვლენათა განვითარების პროგნოზირებით არიან დაკავებულნი. გერმანიის ტელეკომპანია ცდფ აღნიშნავს, რომ გადაყენებულმა ვიცე-პრეზიდენტმა რუცკოიმ მოაწყო თეთრი სახლის დასაცავად შექმნილი ფორმირებების დათვალიერება. რაზმები უიარაღოდ შევიდნენ შენობაში. მაგრამ რუცკოიმ განაცხადა, რომ ისინი იარაღს მიიღებენ და თეთრ სახლზე თავდასხმის შემთხვევაში იარაღს გამოიყენებენ. მან თქვა, რომ მის განკარგულებაში მყოფი რაზმების რიცხვი ათას კაცს მიაღწევს. შესაძლებელია ეს მართლაც ასე იყოს, აღნიშნავს ტელეკომპანია, მაგრამ მასობრივი მოსვლა ამ რაზმების შესავსებად არ შეიმჩნევა. თეთრ სახლში შეკრებილნი აღგზნებულნი არიან, მათ აქვთ იარაღი. თვით დამცველთა ხელმძღვანელმაც კი აღიარა, რომ „არეულ-დარეულობაში" დაახლოებით 70 ავტომატი დაიკარგა, თუ ისინი ექსტრემისტულად განწყობილი ელემენტების ხელში აღმოჩნდა, გამორიცხული არ არის შემდგომი ძალისმიერი აქციები. ცდფ აღნიშნავს, რომ პარლამენტის სპიკერი ხასბულატოვი არ ამჟღავნებს მზადყოფნას დათმობაზე წავიდეს. მას რეგიონებისა და სამხედრო ფორმირებების მხარდაჭერის იმედი აქვს, მაგრამ ჯერჯერობით სოლიდარობის ტელეგრამების გარდა, ასეთი მხარდაჭერა მას არა აქვს. ბორის ელცინი აგრძელებს თავის ტაქტიკას, ცდილობს დრო მოიგოს, თუმცა, არის იმის საშიშროება, რომ ადგილებზე შეიძლება განუკითხაობამ დაიმკვიდროს. წინააღმდეგობა ძირითადად ადგილობრივი საბჭოებიდან მომდინარეობს. ახლანდელი სიტუაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოსკოვში მოგება არ ნიშნავს, მთელ ქვეყანაში სიტუაციაზე კონტროლის დაწესებას. ტელეკომპანია „არდ"-ი აღნიშნავს, რომ არავის შეუძლია იმის გარანტიის მიცემა, რომ შეიარაღებული რადიკალები არ მიმართავენ პროვოკაციას, ამას კი შეუძლია ვითარების დაუყოვნებლივი ესკალაცია, გაზეთ „ვაშინგტონ-პოსტი" კერძოდ, წერს: „იმთავითვე, რაც სამშაბათს ბორის ელცინმა ქვეყანაში საპრეზიდენტო გამგებლობის ანალოგი შემოიღო, მისი კონსერვატიულად განწყობილი მოწინააღმდეგეები ვერ ფარავდნენ სიხარულს. ექვსი თვით ადრე მათ საქმე ისე მოაწყვეს, რომ ბორის ელცინი კონსტიტუციურ ხაფანგში გაებათ, რომელშიც (როგორც ისინი იმედოვნებდნენ) პრეზიდენტი აუცილებლად მოხვდებოდა, მაგრამ შემდგომ დღეებში ნათელი გახდა, რომ პარლამენტი და მისი კონსერვატიული მოკავშირეები მოტყუვდნენ, თავი მოიტყუეს. გასული ნახევარი წლის მანძილზე პოლიტიკური განწყობილება რუსეთში შეიცვალა და ბორის ელცინს, რომელიც დროდადრო არათანამიმდევრული იყო და ხშირად განუჭვრეტელი, მაინც ყოველთვის ბრწყინვალე ინტუიცია ჰქონდა და მან ეს ცვლილება იგრძნო. დღეს პრეზიდენტს ჯერ არ შეუძლია თავისი გამარჯვება გამოაცხადოს, რამდენადაც ასეულობით შეიარაღებული ადამიანი პარლამენტის ირგვლივ სასწრაფოდ აგებული ბარიკადებიდან მზად არიან სისხლი დაღვარონ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არსებობს უდიდესი საშიშროება. მიუხედავად ამისა, სულ უფრო მეტ რუსეთელს კანონმდებელთა წინააღმდეგობა ფარსად ეჩვენება.

თუმცა, ორივე დაპირისპირებული მხარე კვლავ აღნიშნავს, რომ შეუძლებელია, რაიმე კომპრომისი, მაინც გამოჩნდა იმის ნიშანი, რომ შესაძლებელი იქნება გამოიძებნოს კრიზისიდან გამოსავალი. ელცინის მოკავშირე ნიკოლოზ რიაბოვი, რომელიც სათავეში ჩაუდგა არჩევნების მოსამზადებელ კომისიას, არ გამორიცხავს 1994 წლის მარტში პრეზიდენტისა და პარლამენტის ერთდროულად არჩევის შესაძლებლობას. ელცინი ადრე ამ ვარიანტზე არ თანხმდებოდა. მაგრამ, როგორც ნიკოლოზ რიაბოვმა თქვა, ეს საკითხი განიხილება ქვეყნის ხელმძღვანელთა „ვიწრო წრეში". და როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, პარლამენტის წარგზავნილები ეთათბირებიან პრეზიდენტის თანაშემწეებს, რათა გამოძებნონ გამოსავალი საშიში პირისპირდგომიდან. ყველა ლაპარაკმა კომპრომისის თაობაზე ერთ ფოკუსში მოეყარა თავი — პარლამენტისა და პრეზიდენტის ერთდროული არჩევნების წინადადებაზე. სახალხო დეპუტატთა ყრილობის ნარჩენებმა, აღნიშნავს გაზეთი, პარასკევს, ასწიეს რაღაც თეთრი ბაირაღის მსგავსი — ხმა მისცეს 1994 წლის მარტში პარლამენტისა და პრეზიდენტის ერთდროული არჩევნების ჩატარებას. ამ მოწოდებას მხარი დაუჭირეს სხვადასხვა ჯურის პოლიტიკოსებმა.

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ აგრეთვე, რომ სულ უფრო მეტ მხარდაჭერას პოულობს რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ვალერი ზორკინის კომპრომისული, ეგრეთ წოდებული „ნულოვანი ვარიანტის" გეგმა, რომელიც, აგრეთვე, ერთდროული არჩევნების ჩატარებას სთავაზობს დაპირისპირებულ მხარეებს.

დაეხმარებიან რუსეთს

ვაშინგტონში დამთავრდა „დიდი შვიდეულის" სახელმწიფოთა და ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელების თათბირი, რომელშიც მონაწილეობისათვის მიწვეული იყო რუსეთის ფედერაციის ფინანსთა მინისტრი ბორის ფიოდოროვი. მან შეხვედრის მონაწილეებს გააცნო რუსეთში შექმნილი ვითარება, შაბათს გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში თათბირის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის პოლიტიკას. მინისტრმა ბორის ფიოდოროვმა დაადასტურა, პრეზიდენტ ბორის ელცინის მთავრობის მტკიცე ერთგულება [illegible] დემოკრატიისა და საბაზრო რეფორმების გზით. „შვიდეულის" ქვეყნებმა აღუთქვეს რუსეთს, შეპირებული ფინანსური დახმარების მიცემა.

ყოფილი სპიკერის პოზიცია

გაუქმებული რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე სპიკერმა, რუსლან ხასბულატოვმა, განაცხადა, რომ არაფერი იცის უზენაესი საბჭოს ზოგიერთი წევრის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შესახებ. მან თქვა, რომ „მოლაპარაკებები გამორიცხულია, ჩვენ უნდა შევქმნათ მთავრობა, სახელმწიფოებრიობის მთელი სისტემა, ხოლო თუ ყრილობა იმ აზრისაა, რომ საჭიროა ვინმესთან მოლაპარაკება, მაშინ მე არა ვარ მზად, ვუხელმძღვანელო ასეთ ყრილობასო".

თათბირი ჟენევაში

ჟენევაში გრძელდება ნავთობის მომპოვებელი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკის) წევრი-სახელმწიფოების ნავთობის მინისტრების თათბირი. განიხილავენ ნავთობზე ფასების შემდგომი მომატების საკითხს, რომელიც მკვეთრად დაეცა იმის გამო, რომ კუვეიტი ყოველგვარი კვოტების გარეშე შეუზღუდავად აწარმოებს ნავთობის მოპოვებას, ვინაიდან ერაყის აგრესიის გამო, დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლო ნავთობის ექსპორტი.

მიესალმება ვიზიტს

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა მორიხირო ხოსოკავამ განაცხადა, რომ იგი მიესალმება მიღწეულ შეთანხმებას რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ტოკიოში მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს ჩამოსვლის შესახებ. მას დიდი იმედი აქვს, რომ მოლაპარაკება რუსეთის პრეზიდენტთან „ახალ ფურცელს გადაშლის იაპონია-რუსეთის ურთიერთობაში". მორიგებას ვიზიტის შესახებ მიაღწიეს ნიუ-იორკში რუსეთისა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. რუსეთის დელეგაცია პრეზიდენტ ელცინის ვიზიტის მოსამზადებლად უკვე გაემგზავრა იაპონიაში.

გაიხსნა გენერალური ასამბლეის 48-ე სესია

გუშინ მუშაობა დაიწყო გაეროს გენერალური ასამბლეის 48-ე სესიამ საერთო პოლიტიკური დისკუსიით. სესიაში მონაწილეობისათვის ჩაწერილია 170-ზე მეტი ქვეყნის სრულუფლებიანი წარმომადგენელი — სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები, საგარეო საქმეთა მინისტრები, დისკუსია სამ კვირას გასტანს.

არ სურს ფსევდომინისტრობა

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით, გაუქმებული პარლამენტის მიერ 22 სექტემბერს, უშიშროების მინისტრად დანიშნულმა ვიქტორ ბარანიკოვმა განაცხადა, რომ მას არაფერი საერთო არა აქვს „ამ კომპანიასთან". მას მხედველობაში ჰქონდა უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობა. ბარანიკოვმა თქვა, რომ არ აპირებს „ფსევდომინისტრის ფუნქციების შესრულებას" და კვირას, რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვიქტორ ჩერნომირდინთან შეხვედრაზე სთხოვა პრემიერს, გადაეცა რუსეთის პრეზიდენტისათვის, რომ „იგი იყო და რჩება მისი ერთგული". ბარანიკოვმა განუმარტა პრემიერ-მინისტრს, რომ თეთრ სახლში იგი მხოლოდ ერთი მიზნით იმყოფებოდა — ხელი შეეწყო იქ შეკრებილ, ეგრეთ წოდებულ მოხალისეთა შორის წესრიგის დამყარებისათვის და განეხორციელებინა იარაღის ჩაბარებაზე კონტროლი, რომ არავითარ პოლიტიკურ მოღვაწეობას ყოფილი უშიშროების მინისტრი არ აპირებს. მან თქვა აგრეთვე, რომ ასეთივე მიზანი აქვს ანდრია დუნაევს, რომელიც გაუქმებულმა პარლამენტმა შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ფოტო ომიდან

შახვალად აივაზოვის ფოტო.

შეხვედრები მთიან აჭარაში

ბათუმი, 27 სექტემბერი. აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე ეწვია ხულოსა და შუახევის რაიონებს. აქტივთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართული შეხვედრების დროს განიხილეს მაღალმთიანი კუთხის პრობლემები. ბატონმა ა. აბაშიძემ შეკრებილთ გააცნო აჭარასა და მთლიანად საქართველოში შექმნილი საქმის ვითარება, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მუშაობა, დახმარება, რომლებსაც უწევენ სხვა რეგიონებს და განსაკუთრებით — აფხაზეთს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფონდს.

მომავალში უნდა აღმოიფხვრას მხარის მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის პრობლემები, აღნიშნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ. გადაწყდება სხვა საკითხებიც. საჭიროა მოქალაქეებმა გამოიჩინონ შესაბამისი ძალისხმევა.

იზან ცერცვაძე

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დიდი დანაკლისი განიცადა. სამხედრო დავალების შესრულების დროს აფხაზეთში გმირულად დაიღუპა სამხედრო-საჰაერო ძალებისა და პაერსაწინაღმდეგო თავდაცვის სარდლის პირველი მოადგილე, პოლკოვნიკი იზან მიხეილის ძე ცერცვაძე.

იზან მიხეილის ძე ცერცვაძე დაიბადა თბილისში 1952 წელს. დაამთავრა თბილისის მე-2 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ჩერნიგოვის მფრინავების უმაღლეს სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1973-82 წლებში მსახურობდა გამანადგურებელ საავიაციო პოლკში.

1985 წელს ი. ცერცვაძემ დაამთავრა გაგარინის სახ. სამხედრო-საჰაერო აკადემია. 1985 წლიდან განვლო გზა ესკადრილიის მეთაურის თანამდებობიდან საავიაციო უზრუნველყოფის ცენტრის უფროსის თანამდებობამდე. იყო პირველი კლასის მფრინავი. მინიჭებული ჰქონდა სამხედრო გამომცდელი მფრინავის წოდება.

1992 წლიდან დაღუპვის დღემდე სათავეში ედგა სამხედრო-საჰაერო ძალებს, მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალები, სადაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა მაღალი დონის პროფესიონალი, საავიაციო საქმის კარგად მცოდნე, დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მფრინავი.

1992 წლიდან ხელმძღვანელობდა ავიაციის საბრძოლო მოქმედებებს აფხაზეთში და პირადად ასრულებდა საბრძოლო გაფრენებს.

1993 წლის 28 სექტემბერს რიგითი საბრძოლო გაფრენისას გმირულად დასრულდა მისი სიცოცხლე.

წავიდა ჩვენგან გამორჩეული ვაჟკაცი, თავის პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული, გულმართალი, ჩუმი, უპრეტენზიო კაცი და დაგვიტოვა დიდი ტკივილი.

„ცაში დედამიწაზე [illegible]", — ამბობდა. ახლა მშობლიური მიწა ჩაიკრავს გულში, ის მიწა, რომელსაც შესწირა სიცოცხლე.

ე. შევარდნაძე, ო. ფაცაცია, ჯ. გოგუაძე, გ. ყარყარაშვილი, ა. დათუაშვილი, ა. ცქიტიშვილი, ლ. შარაშენიძე, თ. დუმბაძე, რ. თავაძე, თ. ცხაკაია, ვ. გურგენიძე, ჯ. ბუბურიძე, ბ. გალდავაძე, გ. შაშაკიძე, ვ. ჩხეიძე, ჯ. ნაირაშვილი, ბ. ნიკოლაიშვილი, ზ. უჩაძე, გ. ადამია, მ. ელზაქიძე, ბ. უჩაძე, ვ. ჩიქოვანი, შ. ქვარაია, გ. ლანჩავა.

ინფორმაცია 93

გუდაუთა. 27. „იბერიას" კორესპონდენტის ცნობით, გუდაუთის რადიოთი გამოსულმა ვლ. არძინბამ განაცხადა, რომ აფხაზთა ფორმირებების ერთერთი მიზანია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის დატყვევება სოხუმში.

სოხუმი. 27. ტელეფონით დაუკავშირდით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის აპარატის პრეს-სამსახურს, აპარატის საინფორმაციო ჯგუფის ხელმძღვანელსა და რეგიონების მართვის სამსახურის თანამშრომლებს, საიდანაც აცნობეს, რომ ამჟამად (12.00 სთ-სთვის) სოხუმში უკიდურესად დაძაბული მდგომარეობაა. გაფართოებული ბრძოლები მიმდინარეობს როგორც სოხუმის რკინიგზის სადგურთან, ასევე ყოველი ქუჩის, კვარტლისა თუ კორპუსის დასაცავად.

აფხაზთა მხარის შეიარაღებული ფორმირებები გაბნეულნი არიან მთელ ქალაქში, რის გამოც სიტუაცია უმართავია.

ოჩამჩირიდან დამხმარე ქართული ძალები სოხუმში შევიდნენ მხოლოდ საქართველოს თავდაცვის მინისტრის გ. ყარყარაშვილის უშუალო მონაწილეობით. აშკარაა, რომ არსებობს დამხმარე ძალების სოხუმში შეყვანის საშუალება, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ეს სამხედრო ოპერაცია საეჭვოდ გვიანდება.

თბილისი. 27. „იბერიას" კორესპონდენტის ცნობით, პრეზიდენტ ბორის ელცინისა და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პაველ გრაჩოვის მითითებით, ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების დაჯგუფების სარდლის თანაშემწე ვასილ ბელიჩენკო ამ დღეებში რამდენჯერმე დაუკავშირდა ედუარდ შევარდნაძეს სოხუმში და შესთავაზა ევაკუაციაში დახმარება, რაზედაც მან კატეგორიული უარი მიიღო.

თბილისი. 27. დღეს თბილისის მერიაში ჩატარებულ ოპერატიულ თათბირზე, საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსმა ვაჟა დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ უკანასკნელი მონაცემებით, დედაქალაქის 8 სტაციონარში 600-ზე მეტი დაჭრილია მოთავსებული.

დღეს დილის 4.00 სთ-სთვის თბილისმა მიიღო აფხაზეთის რეგიონიდან ოპერატიულად და ორგანიზებულად ჩამოყვანილი 55 დაჭრილი. უკვე მოხდა მათი განაწილება ქალაქის საავადმყოფოებში.

თბილისი. 27. „იბერიას" კორესპონდენტი საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროდან იტყობინება, რომ დღეს აფხაზეთიდან თბილისში ჩამოყვანილია 55 დაჭრილი მებრძოლი. დღევანდელი დღისათვის თბილისის საავადმყოფოებში მოთავსებულია 607 დაჭრილი მეომარი.

რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მოთავსებულია 291 დაჭრილი.

პირველ საავადმყოფოში — 182, მესამეში — 10, მეოთხეში — 86, მეხუთე საავადმყოფოში 11 დაჭრილია.

ქალაქის ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში მკურნალობს 45, სამამულო ომის ინვალიდთა ჰოსპიტალში — 34, დამწვრობის ცენტრში — 1 დაჭრილი, რკინიგზის საავადმყოფოში — 52.

ოჩამჩირის საავადმყოფოში იმყოფება 8 დაჭრილი, ფოთში — 4, ქუთაისის რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში — 14, ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში — 50 დაჭრილია.

თბილისი. 27. გუშინ 15.00 საათზე აეროპორტში აღმოჩენილ იქნა ასაფეთქებელი ნივთიერება. იგი მოქალაქეებმა შეამჩნიეს სანაგვე ყუთში და სასწრაფოდ შეატყობინეს აეროპორტის პოლიციასა და სამხედრო კომენდანტურას. შემთხვევის ადგილზე მისულმა მესანგრეებმა ასაფეთქებელი ნივთიერება გაიტანეს აეროპორტის ტერიტორიიდან და გააუვნებელყვეს.

თბილისი. 27. დღეს დილით რადიოინტერვიუში საქართველოს სამხედრო პოლიციის თბილისის ბატალიონის უფროსმა გელა ლანჩავამ განაცხადა: „თბილისში არის შეიარაღებული ძალები და სამხედრო ტექნიკა იმისათვის, რომ ქალაქში დაცული იქნას სიმშვიდე. ეს გაფრთხილება ეხება განსაკუთრებით ექს-პრეზიდენტის მომხრეებს, რომელთაც იმედი ძალიან არ გაამხიარულებს ან უფრო სწორად არ გაათამამებს ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლა. ჩვენ გავაერთიანეთ შინაგანი ჯარები და პოლიცია და ყველა ღონეს ვიხმართ, რათა დედაქალაქში არ დაირღვეს სტაბილური მდგომარეობა".

„იბერიის" ლენტიდან

ეს ჩვენი საქართველოა!

საგანგებო მდგომარეობის წესებით

20 სექტემბრიდან 0 საათიდან საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა ორი თვის ვადით.

საგანგებო მდგომარეობის წესების თანახმად დასახლებულ პუნქტებში მოქმედებს მოქალაქეთა შემოსვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი, საკონტროლო პუნქტებში მოწმდება საბუთები, ეწყობა რეიდები, საპასპორტო რეჟიმის დამრღვევთა და სხვა საეჭვო პირთა გამომჟღავნების მიზნით ეწყობა სატრანსპორტო საშუალებებისა და პირადი ნივთების შემოწმება.

ამ ფოტოზეც ერთ-ერთი საკონტროლო პუნქტის მუშაობაა აღბეჭდილი.

საქინფორმისა და თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

უჩვენებს თბილისი

ეთერში საქართველო 1993

ოთხშაბათი

29 სექტემბერი

7.25 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.00 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 9.05 — ფრანგული ენა. 9.45 — გერმანული ენა. 10.20 ინგლისური ენა. 13.00 — **ნაშუადღევს** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — ქართული მხატვრული ფილმი. 18.30 — განცხადებები. 18.40 — ვერნისაჟი — ლადო გრიგოლია. 19.15 — ანძა — ტელემარკეტინგი. 19.25 — სიკეთე. 19.50 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — მე, შენ და საქართველო. 21.00 — დოკუმენტური ფილმი. 21.20 — რაც გვიხსნის. 22.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — ვიდეო... ვიდეო... 23.45 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ხუთშაბათი

30 სექტემბერი

7.25 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.00 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 13.00 — ნაშუადღევი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.10 — საქართველოს ისტორია. 17.35 — ქართული ლიტერატურა. 18.05 — განცხადებები. 18.10 — ეკოლოგიური ქრონიკა. 18.40 — წრე. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — მოქალაქეობის კანონი. 21.00 — რამპა. 21.05 — საქართველო და გარესამყარო. 21.45 — დოკუმენტური ფილმი. 22.00 — მუსიკა ღამით — რიჰარდ ვაგნერი (გადაცემა მეორე). 23.45 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

პარასკევი

1 ოქტომბერი

7.25 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.00 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა.



17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — ფრანგული ენა. 17.55 — გერმანული ენა. 18.30 — ინგლისური ენა. 19.00 — განცხადებები. 19.10 — ანძა — ტელემარკეტინგი. 19.20 — პოლიტიკა. 19.50 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — მუსიკის საერთაშორისო დღე. 22.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — მხატვრული ფილმი. 24.00 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ლტოლვილები ფოთსა და ბათუმში ჩაიყვანეს

ფოთის მერმა რომან მელიამ საქინფორმის კორესპონდენტთან თენგიზ პაპკორიასთან საუბარში განაცხადა, რომ შაბათსა და კვირას ფოთში რუსეთისა და საქართველოს ხომალდებით ჩამოიყვანეს 4500 ლტოლვილი ალყაშემორტყმული სოხუმიდან და გულრიფშის რაიონიდან. ლტოლვილთა ნაწილი მოათავსეს ფოთში, დანარჩენები კი ავტობუსებით გაემგზავრნენ რესპუბლიკის სხვა ქალაქებში თავიანთ ნათესავებთან, ახლობლებსა და მეგობრებთან.

26 სექტემბერს სოხუმიდან ბათუმში კატარღებით ჩამოიყვანეს 162 ლტოლვილი. გარდა ამისა, ფოთიდან ბათუმში ავტობუსებით ჩამოიყვანეს 50 კაცი, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს დროებითი თავშესაფარი პოვონ აჭარის ტერიტორიაზე.

...საქმე როცა ქართულ ფოლკლორს ეხება

ილია ჭავჭავაძის მიერ გზადალოცვილ, სახელოვან საუკუნოვან ანსამბლს, დღეს რომ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლად იწოდება, ბოლო ხანებამდე არ ჰქონია საკუთარი, დამოუკიდებელი ჭერი; მხოლოდ შარშან გადაეცა ამ კოლექტივს მინისტრთა კაბინეტის განკარგულებით რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ოფიცერთა სახალხო სახლის შენობა, რითაც აღსრულდა ანსამბლში მოღვაწე თაობების ნეტარი ოცნება. რა ხდება ამჟამად შემოქმედებით კოლექტივში, როგორ მოირგო მან ახალი შენობა, რა საწუხარი და სამომავლო ფიქრი აქვთ — ამ საკითხებთან დაკავშირებით შევხვდით და ვესაუბრეთ ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელსა და მთავარ დირიჟორს, საქართველოს სახალხო არტისტს, ჯემალ ჩხუასელს.

— ბატონო ჯემალ, როგორ აფასებთ თქვენი ანსამბლისათვის აღნიშნული შენობის გადმოცემის ფაქტს?

— ამით მინისტრთა კაბინეტმა უზარმაზარი და კეთილშობილური საქმე გააკეთა. მან დიდი პატივი მიაგო ქართულ ფოლკლორს, რომელიც უპრეცედენტო მოვლენაა მსოფლიო კულტურის ისტორიაში. თვით ანსამბლიც უპრეცედენტოა თავისი ისტორიით, მას ხომ წელიწადს 108 წელი შეუსრულდა. მასში მღეროდნენ ია კარგარეთელი, ნოე ჟორდანია, კირილე პაჭკორია, ზაქარია და ივანე ფალიაშვილები, მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეები, კავსაძეების მთელი დინასტია. მას ზოგჯერ ანსამბლ-მუზეუმსაც უძახიან, მან ხომ პირველად გააცნო მსოფლიოს მრავალ ქვეყანას ჩვენი ფოლკლორი. ვფიქრობ, ჩვენთანვე უნდა გაიხსნას ეროვნული ფოლკლორის მუზეუმი. მე ამაზე ასე გამოკვეთით იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ჩემი ღრმა რწმენით ჩვენი სიმღერისა და ცეკვის მოვლა-პატრონობა ერის ღირსების საქმეა, ერს თუ არა აქვს მისი მოვლისა და გადარჩენის სურვილი, მაშინ აზრი არ ექნება არაფერს.

— რას ფიქრობთ თანამედროვე პირობებში ფოლკლორის ბედზე, მის მომავალზე?

— დღეს ხალხურმა სიმღერამ ყოფიდან სცენაზე გადმოინაცვლა, რითაც ბევრი დააკლდა. იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი ფოლკლორი, ეს უნდა ხდებოდეს ჩვენი ერის წიაღში ე. ი. უნდა მღეროდნენ ზუგდიდში, ოზურგეთში, სიღნაღში, თელავში, ბათუმში და მღეროდნენ თავიანთ სიმღერას. სწორედ მათგან უნდა ვისწავლოთ და არა პირიქით, როგორც ახლა ხდება. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მონაპოვრის მსმენელამდე მიტანას და სცენიდან წარმოჩენას პროფესიულ ანსამბლზე უკეთ ვერავინ შეძლებს. ფოლკლორის უმაღლესი სასწავლებელი, ჩემის აზრით, წარმოუდგენელია, რადგან თვით სიტყვა ხალხური ამას უკვე გამორიცხავს. ისე არავინ გამიგოს, თითქოს ფოლკლორის მეცნიერულ კვლევა-შესწავლას უარვყოფდე, არა. ეს ნამდვილად საჭირო და საშური საქმეა და ამას აკეთებენ კიდეც; მე ვლაპარაკობ საშემსრულებლო პრაქტიკაზე, ურომლისოდაც არ არსებობს ფოლკლორი. სწორედ ამიტომაც გვჭირდება ჩვენ ამგვარი სახლი, რათა მოვიწვიოთ ასეთი შემსრულებლები რაიონებიდან, მოვისმინოთ მათი აზრი ფოლკლორის ხვალინდელ დღეზე, ბოლოს და ბოლოს კიდევ ერთხელ რომ მოვისმინოთ და ვნახოთ სიმღერა და ცეკვა ისეთი, როგორიც დაიბადა, როგორც იგი სრულდება იქ, სადაც იშვა. აუცილებელია მივაგნოთ იმ ხალხს, ვინც თავისი შემოქმედებით დაკავშირებულია XIX საუკუნესთან და XX საუკუნის დასაწყისთან. ვინაიდან ნამდვილ ფოლკლორს ისინი მღერიან და ცეკვავენ. საბედნიეროდ გვყავს ისინი, შესანიშნავი მომღერალი და ლოტბარი პოლიკარპე ხუბულავა ზუგდიდში, ჯოკია მეშველიანი სვანეთში, განუმეორებელი მიშა შავიშვილი ოზურგეთში, დიდებული ლოტბარი შალვა ქვაჭრელიშვილი ყვარელში.

მათ უნდა იგრძნონ, რომ საჭირონი არიან ქვეყნისთვის. მე ვთხოვდი ბიზნესმენებს და ყველას, ვისაც ამის საშუალება აქვს, დაეხმარონ მათ, რათა ეს დიდებული ადამიანები მინიმალური ლუკმა-პურით არ არსებობდნენ.

არცთუ იშვიათად გაიგონებთ ასეთ ფრაზას — რა, თბილისში ცუდად მღერიან ხალხურ სიმღერასო? მე კი ვთვლი, რომ ხალხურ სიმღერას უზარმაზარი სიღრმეები აქვს და ისე, „შეუიარაღებელი" თვალით ვერც მის ნაკლს დაინახავ და ვერც დადებით მხარეს. ზოგიერთ სიმღერას აკლდება ის, რაც არ ჩანს, მაგრამ მთავარია ამა თუ იმ სიმღერის შესრულებისთვის და ეს პირველ ყოვლისა — მისი ბუნებაა. ცხადია, რაც უნდა ნიჭიერი იყოს ოზურგეთელი მომღერალი, გრძელ კახურ მრავალჟამიერს ისე ვერ შეასრულებს, როგორც ამას წინანდლელი ან თელაველი მომღერალი.

— როგორია ანსამბლის ამჟამინდელი შემადგენლობა, რაიმე არსებითი ცვლილება ხომ არ მომხდარა ბოლო წელიწადს?

— ანსამბლის შემოქმედებითი და ტექნიკური პერსონალი სულ 150 კაცისგან შედგება, სცენაზე გამოდის 70-80 კაცი. ამჟამად, პოლიტიკური დაძაბულობის პირობებში, ანსამბლი ამგვარი ინტენსიურობით ვერ მუშაობს, როგორც საჭიროა, მაგრამ ვმუშაობთ გამუდმებით — გვაქვს გამოსვლები, ჩაწერები, აღვადგინეთ ძველი სიმღერებისა და ცეკვების. ჩვენთვის უმთავრესია მომავალი თაობის აღზრდა, ჩვენთან ახლა 250 მოზარდი ეუფლება ცეკვას და სიმღერას. მათ ხელმძღვანელობენ ჩვენი პედაგოგები, რის საშუალებაც აქამდე არ გვქონია. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს კადრების ძალიან დიდი ნაკლებობაა, ეს მართლაც მნიშვნელოვანი საქმეა.

მე ჩემს გზაზე უფრო მეტს ვიბრძვი, ვიდრე ვშრომობ პროფესიაში. უფრო მეტი დრო მეკარგება იმის მტკიცებაზე, რომ ეს ასე უნდა იყოს. მრავალი უწყების, მრავალი ადამიანისათვის დამჭირდა ამ ბოლო დროს იმის მტკიცება, რომ ჩვენი ხელოვნება ერის სულის დიდი ნაწილია, რომ კულტურის გარეშე ერი არ არსებობს და მისთვის ხელშეწყობა ყველას ვალია. ყველაზე მოულოდნელი კაცი საქართველოში იცვლის ხელოვნებისათვის და ქმნის ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტს. ამ დროს კი ზოგიერთისათვის თურმე სულ ერთია რა დღეში აღმოჩნდება იგი. ამასწინათ ერთმა უწყებამ (პატივს ვცემ ამ უწყებას და ჯერჯერობით არ მინდა დავასახელო) პრეტენზიები გამოთქვა ჩვენდამი. ჩვენი კუთვნილი ფართის მითვისება სურთ მაშინ, როცა მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის განკარგულებაში გარკვევით წერია — ოფიცერთა სახალხო სახლის შენობა ჩვენ გადაგვეცეს და აღნიშნული შენობის ან მისი რომელიმე ნაწილის სხვისთვის გადაცემა მთავრობის გადაწყვეტილების დარღვევა იქნება. თუ ასეთი ზეწოლა კიდევ განმეორდება, იძულებულნი ვიქნებით, მივმართოთ საზოგადოებას, განსაკუთრებით ინტელიგენციას. არ მინდა ერთი წუთით იფიქროს ვინმემ, თითქოს ჩვენს თავს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ. რომ უჩვენოდ საქართველო დაიღუპება — ასე სულაც არ წარმოგვიდგენია, მაგრამ არ შეგვიძლია ვდუმდეთ, როცა საქმე ეხება ქართულ ფოლკლორს, ჩვენი სულიერების უდიდეს საგანძურს, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ „ლილე", „ოდოია", „ხასანბეგურა", „ჩაკრულო" იქმნებოდა არა ათწლეულებში, არამედ ათასწლეულებში. მათ ქმნიდნენ ტალანტები და ისინი ქართველები იყვნენ. ჩვენ არა გვაქვს უფლება ისინი ჩვენივე ნებით ჩავკლათ, დავუკარგოთ შთამომავლობას: მერწმუნეთ, ამის რეალური შანსი არსებობს....

— ადრე მთლიანად სახელმწიფო აფინანსებდა ანსამბლს, ახლა კი თითქმის ყველაფერი საკუთრივ თქვენი საზრუნავია, როგორ მუშაობთ ამგვარ პირობებში?

— დავიწყოთ ისევ შენობით, რომელიც არ არის ისე მოწყობილი, როგორც უნდა იყოს. სადღეისოდ საჭიროა რამდენიმე მილიარდ კუპონზე მეტი, რომ შენობამ შიგნით სასურველი იერი მიიღოს. ამ პომპეზურ შენობაში ბევრი რამ არის მოსარგები, გადასაკეთებელი და თავიდან ასაშენებელიც, მსახიობებს არა აქვთ გასახდელები, საშხაპეები, არა გვაქვს გარდერობისათვის შესაფერისი ფართი. ეს ყველაფერი აწი უნდა მოვნახოთ. ამ შენობაში, რაც ძალიან ძნელია, დარბაზი საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, ვინაიდან არ არის დაცული აკუსტიკის ელემენტარული ნორმებიც კი, რაც აუცილებელია ანსამბლის ფუნქციონირებისათვის. გვეხმარება დემოკრატიისა და აღორძინების ფონდი, რომელსაც იჯარით აქვს აღებული ჩვენი შენობის ნაწილი. ეს ფონდი ჩვენი ოფიციალური სპონსორია და ფაქტობრივად ანსამბლი იჯარიდან შემოსული თანხით არსებობს. ამჟამად სახელმწიფოც გვაძლევს დოტაციას, მაგრამ იგი ხელფასსაც არ სწვდება, ყველა მეურნე კაცი მიხვდება რა სჭირდება ანსამბლს დოტაციის გარდა: ასე გაზრდილი კომუნალური გადასახადი და რაც მთავარია ეროვნული კოსტიუმებისა და რეკვიზიტის შეძენა, რომელიც ყოველი კონცერტის და გენერალური რეპეტიციის შემდეგ გამოდის მწყობრიდან და იმთავითვე საჭიროებს აღდგენას. თუ ადრე აზიურ ფეხსაცმელს 37 მანეთად ვიძენდით, დღეს იგი 100 ათასი კუპონი ღირს...

— ბატონო ჯემალ, თქვენი ანსამბლი ძალიან ბევრს მოგზაურობდა საზღვარგარეთ, ახლაც თუ გაქვთ მიწვევა, და როგორ აპირებთ გამგზავრებას, შესძლებთ კი ამას თქვენი ხარჯით?

— ამერიკის შეერთებულ შტატებში ოთხჯერ ვიყავით, კვლავ გვეპატიჟებიან შტატებში, არის პერუში გამგზავრების რეალური შანსი, მიმდინარეობს მოლაპარაკება, მაგრამ დღესდღეობით ძალიან ძნელს გამგზავრება. ადრე თუ სახელმწიფო თავის თავზე იღებდა ყველა ხარჯს, ახლა ჩვენ თვითონ უნდა გამოვნახოთ ფინანსები. ეს იქნება პირველი დამოუკიდებელი გასტროლი. ვნახოთ, იქნებ ფოლკლორი მატერიალური შემოსავლის წყაროდაც იქცეს.

ესაუბრა
გიორგი ლალიაშვილი.

ფეხბურთი

ქართველი ხალხის სამამულო ომის ფონზე გრძელდება ეროვნული ჩემპიონატი. გთავაზობთ მეათე ტურის შეხვედრების შედეგებს:

აღმოსავლეთი

„შევარდენი-1906"-„მრეტები" — 1:0, [illegible]-„ივერია" — 0:0, „მარგვეთი"-„დილა" — 1:0, „მეტალურგი"-„კახეთი" — 3:2, „საპოვნელა"-„დინამო" — 0:1 (ეს გახლდათ XI ტურიდან გადმოტანილი მატჩი).

დასავლეთი

„ტორპედო"-„მზიური" — 3:0, „სამტრედია"-„ოდიში" — 2:0, „ბათუმი"-„გურია" — 4:1. გადაიდო შემდეგი შეხვედრები: „კოლხეთი-1913"-„ცხუმი", „სამგურალი" — „ამირანი".

ჩოგანი

ქვეყნის ჩემპიონატისა (ყველა ჯგუფში) და ეროვნული თასის გათამაშების მორიგი ეტაპის საპასუხო მატჩები, რომლებიც დღეს უნდა გამართულიყო, რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით გადაიდო.

მეორე ჯგუფის მორიგი ტურის შეხვედრებიდან აღსანიშნავია ბოლო ორი სეზონის ულიდერის — თბილისის „ანცის" პირველი წაგება „ნაფარეულთან" — 1:2.

ავტოსპორტი

ლეგენდარულმა ფრანგმა სპორტსმენმა ალენ პროსტმა მეოთხედ მოიპოვა პროფესიონალ ავტომრბოლელთა უმაღლესი ტიტული — „ფორმულა-1"-ის მსოფლიო ჩემპიონობა. წლევანდელი გათამაშების გამარჯვებული ვადაზე ადრე გამოვლინდა პორტუგალიის ქალაქ ესტორილის ტრასაზე გამართული მორიგი ეტაპის შემდეგ — პროსტმა დისტანცია გერმანელი მიხაელ შუმახერის შემდეგ მეორე ადგილით დაასრულა და საერთო ჩათვლაში მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა.

ჭადრაკი

ვაჟთა მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩი (ფიდეს ეგიდით) ანატოლი კარპოვსა და იან ტიმანს შორის გაურკვეველი ვადით შეწყდა ფინანსური გართულებების გამო. სწორედ ამ საბაბისა და ფიდეს პრეზიდენტის ფლორენსიო კამპომანესის არასწორი ქმედებების მიზეზით ომანის სასულთნომ უარი განაცხადა ორთაბრძოლის მეორე ნახევრის მასპინძლობაზე. „ჰოლანდიური რაუნდის" შემდეგ დაწინაურდა მსოფლიოს ექსჩემპიონი — 7:5.

„ტაიმსის" მსოფლიო ჩემპიონატზე ლონდონში გარი კასპაროვი განაგრძობს ახალგაზრდა ინგლისელი დიდოსტატის ნაიჯელ შორტის განადგურებას — 9 პარტიის შემდეგ ანგარიშია 7:2 თანამედროვეობის № 1 მოჭადრაკის სასარგებლოდ.

ხსოვნა

კონსტანტინე მერაბიშვილი

ქართველ ხელოვანთა რიგებს გამოაკლდა უხუცესი შემოქმედი, ცნობილი მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი, სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი კონსტანტინე მერაბიშვილი.

ბატონი კოტე ქართველ მხატვართა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ეროვნულ პროფესიულ სახვით ხელოვნებას, ქართველ მოქანდაკეთა სახელგანთქმულ სკოლას. იგი ექვსი ათეული წელი ემსახურა საყვარელ საქმეს, როგორც პრაქტიკოსი შემოქმედი და პედაგოგი.

მან 1930 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და მას შემდეგ მთელი მისი საქმიანობა ამ სასწავლებელთან იყო დაკავშირებული. კ. მერაბიშვილი დიდი იაკობ ნიკოლაძის მოწაფე იყო და არც ერთი წუთით არ უღალატია მასწავლებლის ესთეტიკურ-იდეური მრწამსისათვის. მისი ნამუშევრები გამომსახველობითი ენის შესაშური სისადავით და იდეური სიღრმით გამოირჩევა, მისი პლასტიკური ენა გასაგები და მისაწვდომია მაყურებლისათვის, რადგან მისი შემოქმედების დასაყრდენი ყოველთვის რეალური ცხოვრება იყო.

ბატონი კოტე მერაბიშვილი თანამედროვე ქართული მონუმენტური პლასტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. სწორედ მან, სრულიად ახალგაზრდამ გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ძეგლზე ჩატარებულ კონკურსში 1937 წელს. ეს იყო ფაქტობრივად პირველი ქართული მონუმენტური ქანდაკება, რომელიც დედაქალაქში აღიმართა. რუსთაველის თემაზე მუშაობა მას მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შეუწყვეტია, ამის დასტურია დიდი პოეტის ძეგლი სოხუმში, უნგრეთში და სხვ.

მონუმენტურ ქანდაკებაში მუშაობას ხელს უწყობდა ისიც, რომ კ. მერაბიშვილს ხუროთმოძღვრის პროფესიული განათლებაც ჰქონდა მიღებული და ამიტომ ჩაიაზრებდა ხოლმე იგი ძეგლს გარემოს სივრცის კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ იგი საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი თავმჯდომარეც ბრძანდებოდა.

ბატონმა კოტემ საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტების გალერეა შექმნა. პიროვნების შინაგანი ბუნების გახსნა იყო მისი მთავარი ამოცანა ილიას, აკაკის, ნ. მუსხელიშვილის, ი. ვეკუას, კ. ერისთავის, ე. ფიფიას, მ. თოიძის, ი. ნიკოლაძის და სხვათა პორტრეტებში.

დიდია ბატონი კოტეს დამსახურება ახალგაზრდა მოქანდაკეთა აღზრდის საქმეში. ბევრი მისი ნაშეგირდალი დღეს საყოველთაოდ სახელმოხვეჭილი ოსტატია და თვითონ ზრდის ახალ თაობებს.

ბატონი კონსტანტინე მერაბიშვილი ზეციურ საქართველოს შეუერთდა, მისი ნაღვაწი კი მარად დარჩება მრავალტანჯულ ქართულ მიწაზე, როგორც უკვდავება ქართული კულტურისა.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია; საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო; საქართველოს მხატვართა კავშირი.

ვახტანგ თედიაშვილი

გარეგნულად მშვიდი, დაბადებიდანვე ყველაფერში ჩქარობდა, თითქოს იცოდა, რომ ოც წელიწადსაც ვერ იცოცხლებდა. ჩქარობდა და ამ ქვეყანაზე კაცური კვალის დატოვებას ესწრაფვოდა. თავის თანატოლებთან შედარებით საქმესაც ადრე შეუდგა და ოჯახსაც ადრე მოეკიდა.

არ გაუმართლა. ვერ გაექცა ბედისწერას.

საოცრად კეთილი და უშუალო, არასოდეს ჰკარგავდა იუმორის გრძნობას. ომგადახდილი და უკვე სასიკვდილოდ დაჭრილი, ქირურგს ანეკდოტებს უყვებოდა თურმე — თავსაც იმხნევებდა და იმასაც ამხნევებდა.

მუდამ მზად იყო უცნობ-ნაცნობთა დასახმარებლად, მხარში ამოსადგომად თუ სანუგეშებლად. მისი დიდი და თბილი გული ვეება სიყვარულს იტევდა — ოჯახის, მეგობრების, სამშობლოს სიყვარულს.

აფხაზეთში წასვლა, სოხუმისა და საქართველოს მთლიანობის დაცვა თავის წმიდათაწმინდა ვალად ჩათვალა. მამასთან — ლეგენდარულ ლევან თედიაშვილთან ერთად იბრძოდა სოხუმში. უსასტიკეს ბრძოლებს უვნებლად გადაურჩა და უკვე სამშვიდობოზე გამოსულს, მამის თვალწინ მოხვდა ყუმბარის ნამსხვრევი, მამისავე ხელში დალია სული.

კვალი კი დატოვა ამ ქვეყანაზე — გმირული, ნათელი, თავისი გვარის საკადრისი კვალი.

ვახტანგ თედიაშვილი შობა დღეს 20 წლისა უნდა გამხდარიყო.

მეგობრები.

ამირან ფოფხაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა რესპუბლიკური ცენტრალური ტელეგრაფის მთავარი ინჟინერი, „კავშირგაბმულობის ოსტატი", ელექტრონულ სატელეგრაფო აპარატზე ქართული შრიფტის ერთ-ერთი ფუძემდებელი ამირან ამბროსის ძე ფოფხაძე.

დაიბადა 1952 წელს. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, მან გაელო შრომითი გზა კავშირგაბმულობის რიგითი ინჟინრიდან რესპუბლიკური ცენტრალური ტელეგრაფის მთავარ ინჟინრამდე. იგი იყო დარგში ახალი ტექნიკის დანერგვის აქტიური მონაწილე.

კეთილშობილი, უაღრესად პატიოსანი, მაღალი კლასის სპეციალისტი, მოსიყვარულე მამა და მეუღლე, ერთგული მეგობარი — ასეთი დარჩება ამირან ფოფხაძე ახლობლებისა და მეგობრების გულში.

რესპუბლიკური ცენტრალური ტელეგრაფის კოლექტივი.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო იუწყებიან, რომ 37 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა რესპუბლიკის ცენტრალური ტელეგრაფის მთავარი ინჟინერი, კავშირგაბმულობის ოსტატი

ამირან ამბროსის ძე ფოფხაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დავეხმაროთ ხანდაზმულთ!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით ყოველი წლის 1 ოქტომბერი გამოცხადებულია ხანდაზმულთა საერთაშორისო დღედ.

მივმართავთ სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კომერციულ სტრუქტურებს, ქართველ ბიზნესმენებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქციის განხორციელებაში, დახმარების ხელი გაუწოდონ უფროსი თაობის თანამემამულეებს, ნათლად წარმოაჩინონ მათი ღვაწლი, განვიხილოთ დღევანდელი მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, დავსახოთ მათი გადაწყვეტის გზები.

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის ანგარიში: 000700492 საბურთალოს ბინსოცბანკის განყოფილება, კოდი 521664.

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" სავაჭრო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА